F1294
1921

ხელნაწერის უფლებით.

თავისუფალი საქართველო

№ 12. 31 ოქტომბერი, 1921 წელი. № 12.

ამ ნომერში 20 გვერდია.

საით მიდიან?

(ჩიჩერ. ნოტის გამო)

ჩიჩერინს, რუსეთის «სახალხო დიპლომატს» ძლიერ უყვარს მსოფლიო პროლეტარიატის ხსენება და მისი სახელით გამოსვლა, მაგრამ მისი ნოტები მაინც ყოველთვის ევროპის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული მთავრობებისადმი არის მიმართული.

ამ უკანასკნელთაგან ელის ის რუსეთის საბჭოთა ტერორისტულ რეჟიმის ცნობას, კრემლის ყაჩაღების მთავრობათ აღიარებას, დანგრეულ რუსეთისთვის კაპიტალის მიწოდებას, რასაკვირველია საექსპლოატაციოთ და სესხის მიცემას «ჩეკების» გასაძლიერებლათ, ევროპის მუშებისაგან კი იგი მოითხოვს მხოლოდ ამ «წმინდა» საქმეში ხელის შეწყობას, თავის მთავრობებთან «რევოლიუციურ» შუამავლობას ამ კაპიტალისტთა წყალობის მისაღებათ.

სწორეთ ბურჟუაზიული ევროპა თავის ექსპლოატატორული ინსტინქტებით და მისწრაფებებით, სწორეთ იმპერიალისტური წრეები თავის გაუმაძღარი მადით შეიქნა დღეს სანუკვარი საგანი და ერთად-ერთი საშვალება ხსნისა და გამობრუნებისა საბჭოთა დანგრეული რუსეთის მფლობელთათვის.

და ჩიჩერინიც, ერთგული წარმომადგენელი ამ მომაკვდავი ძალაუფლების, ემუდარება ევროპის რეაქციას—გვიცანით და ძველ ვალებს აღვიარებთო.

თავის ნოტაში 28 ოქტომბრის თარიღით იგი სწერს: «საბჭოთა მთავრობა პირისპირ დაყენებულია ევროპის სახელმწიფოთა მიერ ძველი ვალების ცნობის კატეგორიულ მოთხოვნის წინაშე და იგი მზათაა ამ მხრივ მეტის-მეტათ მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდეს.

საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს რუსეთის სესხის ქაღალდების წვრილ მეპატრონეთ, განსაკუთრებით საფრანგეთში, რომელთათვის რუსეთის ვალების ცნობას მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს».

ბ-ნ ჩიჩერინს ახლა, 4 წლის შემდეგ მოაგონდა, რომ რუსეთის სესხის ქაღალდები წვრილი ხალხის ხელშია და მყისვე მათდამი უზომო სიბრალულით აევსო გული!.. «ამიტომ—დასძენს ნოტა, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზათაა იცნოს ვალდებულებანი უცხო ქვეშევრდომთა მიმართ, რომელნიც გამომდინარეობენ მეფის მთავრობის მიერ 1919 წლამდე აღებულ სესხისაგან, იმ პირობით კი, რომ მოგვეცეს შეღავათიანი პირობები, რომელნიც შესაძლებელს გახდიან ვალდებულების შესრულებას».

მაშ ასე. დაიწყეს უარყოფით, გაათავეს ცნობით. დაიწყეს კაპიტალის განდევნით, ვალების გაუქმებით, «ესქსპროპრიატორთა ექსპროპრიაციით», და დღეს ათავებენ კაპიტალის მუხლმოდრეკით მოწვევით, ვალების ცნობით, ექსპროპრიატთა თავის უფლებებში აღდგენით.

რაზ აალაპარაკა ასე ბ-ნი ჩიჩერინი და ძმანი მისნი?

ამბობენ, მოსკოვის მფლობელთ უნდათ ერთგვარი დათმობის სულიერი განწყობილება შექმნან ვაშინგტონის კონფერენციაზე, სადაც მთავარ საკითხათ სწორეთ რუსეთის აღმოსავლეთის საკითხია დასმულიო. შეიძლება. მაგრამ ეს მეორე ხარისხოვანი საქმეა. მთავარი კი მოსკოვის მფლობელთათვის თავის ძალა-უფლების შენარჩუნებაა.

ამ მიზნისთვის არ ერიდებიან მოსკოვის დიქტატორები ევროპის ბურჟუაზიის წინაშე წამოჩოქებას და ახალ-ახალი დაპირებების მიცემას.

F 8343

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რათ დასჭირდათ ეს კომუნიზმის მოძღვრებს?

ლენინი და მისი მიდევრები ამ სამი წლის წინეთ ამაყათ და დიდი რიხით გაიძახოდენ, რუსეთი მდიდარია სურსათით და ნედლი მასალით, ევროპის კაპიტალი ვერ გაძლებს უჩვენოთ, დაიმშევა, დაინგრევა და შემოგვეხვეწებაო. მაგრამ მოხდა სრულიად წინააღმდეგი. დამშევა წილათ ხვდა რუსეთს და უსაშინელესი დამშევაც.

ახალი თითქმის არაფერი მზადდება დღეს რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე. წარმოება ქვანახშირის მაგ. თავის თავსაც ვერ არჩენს, ე. ი. იმდენიც ვერ ამოაქვთ, რაც თვით მაღაროების გასანათებლათ არის საჭირო. ბაქოს ნავთიც უკვე დაახლოვებით ამ დღეშივეა ჩავარდნილი. სხვა წარმოებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

საბჭოთა კომისრები დღემდე მხოლოდ ნადავლით ცხოვრობდენ. საზრდოობდენ იმით, რაც დარჩა ბურჟუაზიის საკუჭნაოებში, რაც ინტერვენციის მიზნით იქნა შემოტანილი უცხოეთიდან და წითელ ჯარს ჩაუვარდა ხელში და რაც ახალ-ახალი კუთხეების დარბევით შეიძინეს, ცარცვავდენ რა ციმბირს, თურქესტანს, კავკასიას; ახლა ეს უკანასკნელი წყარო არსებობის მიწურულია. და ეს იმ დროს, როცა რუსეთის $^2/_5$ დამშეულია, და მაშასადამე სარჩენი.

მაგრამ ხალხს ვიღა სჩივის. კომუნისტებს მილიონობით მისი გაწყვეტა დიდ უბედურებათ არ მიაჩნიათ; მაგრამ ილევა საშვალება თვით მათი ერთათ-ერთი იმედის, წითელი ჯარის, რჩენის. ცენტრალურ მთავრობას ხომ მათი გამოკვებაც აღარ შეუძლია და იგინი გუბერნიებს და ოლქებს მიაწერა სარჩენათ. ესე იგი ივანე მრისხანის დროის «კორმლენიე»-ს წესები გაანაახლა.

და აი ასეთ პირობებში რა დარჩენია მოსკოვის მთავრობას?

ჯარის დამშევა ნიშნავს მის განდგომას, და მაშასადამე მოსკოვის კომისართა აღსასრულს. და აი მოსკოვის ავანტიურისტების წინაშე დგება ორი გზა: ან ახალი ომები დაიწყონ და დაპყრობილ ქვეყნებში ჯარს სარჩო მოუპოვონ, ან ევროპას დაუჩოქონ და ფულები სთხოვონ. მათ პირველი ძალიან სურთ და ამ მიზნით მეზობელ სახელმწიფოებს ეჩხირკედელავებიან, მაგრამ გამარჯვების იმედი ძალიან საეჭვოა და ამიტომ იარაღზე თავის ბედის მიგდება ვერ გაუბედიათ. ცხადია დარჩენიათ მეორე გზა—ევროპის წინაშე დაჩოქება და სამოწყალოთ ხელის გაშვერა. ამას შეიცავს ზემო აღნიშნული ჩიჩერინის ნოტა. ეს დოკუმენტი აშკარათ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ იგი ბოლშევიკების დაუძლურების შედეგია, რომ იგი სამარისკენ მიმავალი ხელისუფლების ხავს მოჭიდებული ცდაა—მდგომარეობის გამოსაბრუნებლათ.

თავის ქედის მოხრის სასყიდლათ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს:

«საბჭოთა რუსეთის და მისი მეგობრული შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის უზრუნველყოფა გარეშე საფრთხისაგან, მათი ტერიტორიალური ხელუხლებლობა და სუვენერული უფლებები უნდა საჯაროთ იქნეს აღიარებული დიდ სახელმწიფოთა მიერ. აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრეთვე საზავო ხელშეკრულების დადება დიდ სახელმწიფოებსა და საბჭოთა რესპუბლიკის შორის და საბჭოთა მთავრობის ცნობა», რაიც უნდა განხორციელდეს სპეციალურათ ამ მიზნით მოწვეულ კონფერენციაზე.

ცნობის მთავარი მიზანი და დანიშნულება, რასაკვირველია, სესხის აღებაა, რაც საბჭოთა კომისრებს მიუცილებლათ ესაჭიროებათ.

ბ-ნი რადეკი და სტეკლოვი, არც მალავენ ამას და მოსკოვის გაზეთის ფურცლებზე აშკარათ აღიარებენ: «საბჭოთა მთავრობა მზათაა იცნოს ვალები იმისთვის, რომ მიიღოს ახალი კრედიტები, რომელიც მას საშვალებას მისცემს თავის მდგომარეობა გაამაგროს»...

ძალა-უფლების შერჩენა—აი ერთათ-ერთი, რასაც ისინი კიდევ ისახავენ დღეს მიზნათ. კომუნიზმი მათ უკვე დამარხეს. სოციალიზმის დაუყონებლივ განხორციელებაზე ხელი აიღეს. ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე კიდევ ლაპარაკობენ, მაგრამ მისი იმედი ოდნავათაც არა აქვთ და ოცნებობენ მხოლოდ ერთზე, როგორმე ძალა-უფლება შეინარჩუნონ. ამ მიზნით ძველ ვალებსაც იღებენ თავზე და მთელ რუსეთის გაცემაზეც მზათ არიან.

მაგრამ შეიძლება ეს?

საფასური, რომელსაც ბოლშევიკები იძლე-

ვიან, თქმა არ უნდა, ძალიან დიდია. ევროპის ბურჟუაზიასაც ეპვი არაა, მეტის-მეტათ სურს რუსეთის ულეველ ბუნებრივ სიმდიდრის წყაროს დაეპატრონოს, იგი ამისთვის ეშმაკსაც შეუთანხმდება და მის ბებიასაც. ამის იმედით სულდგმულობენ ბოლშევიკებიც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მ[illegible]ავარი ხელის შემშლელი ძალა სწორეთ ბოლშევიკების რეჟიმია. ეს გარემოება დღემდე უნაყოფოთ ხდიდა ყოველივე მოლაპარაკებას. ეს იცის ევროპის ბურჟუაზიამ. მას უკვე აქვს ინგლისის რვა თ[illegible]ის გამოცდილება.

ლენინ-ჩიჩერინი მხოლოდ თავის სთავს ატყუებენ, როცა დიდი დაპირებებით ევროპის ბურჟუაზიის ყინულზე გაცურებას ფიქრობენ.

ევროპის პრესამ უკვე გამოსთქვა თავის მსჯავრი. და იგი უარყოფითია. მხოლოდ ინგლისის პრესის ერთი ნაწილია მომხრე ამ ნოტის ნიადაგზე მოლაპარაკების დაწყების, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი აქვს რაიმეს ჩამოვრჩებითო, როგორც წასულ მარტში ფიქრობდენ რუსეთის ოქროს დაპატრონებოდენ. მეორე და ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწილს და, რაც უმთავრესია, ფინანსიურ წრეებს კი ესეც არ სჯერათ და გადაჭრით წინააღმდეგი არიან მოლაპარაკებაზე დროს დაკარგვის. კატეგორიულათ უარყოფითია დამოკიდებულება საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის, მიუხედავათ იმისა, რომ ჩიჩერინს მეტის-მეტათ თურმე გული შესტკივა წვრილი ფრანგი მესაკუთრისათვის.

«ეხოდეპარი»-ს თქმით, «ბოლშევიკების დაპირებას ერთი გარემოება აბრკოლებს, ის, რომ მოსკოვს არც ერთი სუ (სუ 2 კაპეიკია) არ მოეპოვება». «სანამ მდგომარეობა უკეთესისაკენ არ შეიცვლება რუსეთში, მასთან ვაჭრული ურთიერთობის დამყარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია» განაცხადა ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში.

და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ ერთათ-ერთი გზით, თვით ბოლშევიზმის გაუქმებით. საბჭოთა სისტემა თავის ჩეკებით, თვითნებობით, უსაშინელესი ტერორით და არევ-დარევით—აი მთავარი დაბრკოლება ევროპასთან ურთიერთობის, აი რის გაუქმება არის საჭირო. დათმობა, კომპრომისი, მორიგება აქ შეუძლებელია. დაჩოქილი მოსკოვიც ვერ [illegible] ბურჟუაზიის მოწყალე ხელს. იგი ისტორიისაგან სასიკვდილოთ განწირულია და თავის ბედს ვერ ასცდება...

ყარსის ხელშეკრულება.

(13 ოქტომბერი).

13 ოქტომბერი ერთი იმ სამარცხვინო დღეთაგანია, რომლითაც ასე მდიდარია კომუნისტთა მოღვაწეობა საქართველოში. ამ დღეს კავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტებმა ხელი მოაწერეს თავის სრულ კაპიტულიაციას ოსმალეთის ფაშების წინაშე. ამ დღეს მათ უფრო საზიზღარი ფორმით გაიმეორეს ის მოღალატური პოლიტიკა, რომლითაც დაიწყო რუსეთის კომუნიზმმა ბრესლიტოვსკის ცნობილი ზავის ამ სამი წლის წინეთ; მათ ხელ-ახლა დასჭრეს ამიერ-კავკასიის ერთა სხეული და იგი საჯიჯგნათ მიუგდეს თავის «მოკეთე» ოსმალთა ფაშებს.

ყარსის, არდაგანის მთლათ, ხოლო ბათომის ოლქის უდიდესი ნაწილი ოსმალეთს მისცეს. მასვე ჩააბარეს ბათომის მთავარი სიმაღლეები, ხოლო სამაგიეროთ თვით ბათომი... მათგან წყალობათ მიიღეს.

სწორეთ ასე სწერია ხელშეკრულების მე-6 მუხლში: «ოსმალეთი თანახმაა **დაუთმოს** საქართველოს სუვერენიტეტი ბათომის პორტისა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძევს ხელშეკრულების მე-4 მუხლში ნაჩვენებ საზღვრების ჩრდილოეთით და რომელიც შედიოდა ბათომის ოლქში» და ისიც იმ პირობით, რომ მცხოვრებლებს მიეცეს ავტონომია აგრარული კანონის დამოუკიდებლათ გამოცემით და თურქებს ქალაქ ბათომში თავისუფალი ტრანზიტის უფლება დაურჩეს ყოველგვარი გადასახადის გაუღებლათ.

ამგვარათვე ოსმალეთი სომხებსა და აზერბეიჯანს ნახიჩევანის საკითხში ერევა და ამ მაზრას აზერბეიჯანის პროტექტორატის ქვეშ აყენებს. ერთი სიტყვით იგი ხაზეინობს, საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ საქმეებს აწესრიგებს და თავის მხრივ წყალობას პირდება.

რა არის ეს? გამარჯვებულის კარნახი, თუ ჩვენი კომუნისტების სიბეცე?

სამწუხაროთ ერთიცაა და მეორეც. თვით

ბოლშევიკებიც არ მალავენ, რომ ხელშეკრულება ოსმალეთთან ნაკარნახევი იყო მოსკოვის ხელშეკრულებით, რომელიც მარტში დაიდვა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ეს ხელშეკრულება საფასური, იყო ანგორისათვის მიცემული საქართველოს დაპყრობაში დახმარების აღმოჩენისთვის.

ქართველი-კომუნისტები თავის ხელით იხდიან იმ ვალს, რომელიც მათმა გამომგზავნელმა გასცა, და ამით მოღალატეობაზე-მოღალატეობას უმატებენ.

რით ხელმძღვანელობდა მოსკოვი, როცა ასე სჭრიდა საქართველოს საზღვრებს? ცხადია, თავის იმპერიალისტური ზრახვებით, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი გაეხადა და იგი თავის სამუდამო სამკვიდროთ დაეტოვებინა. მართლაც დღევანდელ საზღვრებ შიგნი, როცა სომხეთი მდ. ხრამზეა მოსული, ხოლო ოსმალეთი ბათომს თავს დასცქერის, საქართველო ყოველ მხრივ ღია კარებს წარმოადგენს, სადაც მტერს ადვილათ შეუძლია შემოიჭრეს და იქაურობა გაანადგუროს.

საყურადღებოა აგრეთვე ოსმალური გაზეთების კომენტარიები ამ ხელშეკრულების შესახებ, იმ გაზეთების, რომელნიც ახლო არიან გაცნობილი ანგორის პოლიტიკას, იგინი აშკარათ აღიარებენ, რომ ბათომი და მისი ოლქი ფაქტიურათ გადაიქცა ოსმალეთის ქალაქათ, და რომ მისი პორტი მთავარი გზა იქნება ერზერუმის და ყარსის ვილაიეტების ზღვასთან დასაკავშირებლათ.

ერთი სიტყვით—ბოლშევიკების და ქემალისტების კავშირი დაგვირგვინდა კავკასიაში ამ უკანასკნელთა პოლიტიკურათ და ტერიტორიალურათ გაძლიერებით, და საქართველოს და სომხეთის დარღვევით.

და გაბატონებულმა ოსმალეთმა უმოწყალესათ დაუთმო საქართველოს სუვერენული უფლებები ბათომის პორტზე და ქობულეთ-ზემო აჭარაზე, ამ ნაწილისთვის ავტონომიის მინიჭებით! დღემდე ასეთი ჩარევა ხდებოდა ოსმალეთის შინაურ ცხოვრებაში და მას აიძულებდენ ავტონომიების დაარსებას, რადგან იგი ფაქტიურათ ევროპის კოლონია იყო. მეოცე საუკუნეში 1921 წლის დასასრულს კი დანგრეული ოსმალეთი ასეთ სამარცხვინო ხელშეკრულებას უდებს ამიერ-კავკასიის «საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს» მოსკოვის კომისართა წარმომადგენელის მონაწილეობით. ამაზე მეტი პოლიტიკური დაცემა და გალაქიავება შეუძლებელია!

და ამ მონური ქედის მოხრის სამაგიეროთ, როგორც იგივე ოსმალეთის გაზეთები გულახდილათ გადმოგვცემენ, კავკასიის კომუნისტებმა მიიღეს დაპირებები მათი ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ ოსმალეთის ჯარის დახმარების შესახებ.

ბოლშევიკებს საერთოთ წყალი აქვთ შემდგარი, დღეს თუ ხვალ შეიძლება მოსკოვის მფარველებმა სათანადო ხიშტიანი ძალა ერ დაუყენონ მცველათ და მათი ძალა-უფლება საფრთხეში ჩავარდეს. აი ამ მოსალოდნელ გაჭირვების დღისთვის უნდათ მეგობარი და მოკავშირე, როგორიცაა კარაბექირ ფაშა. იგი პირდება ამიერ-კავკასიაში მათი ხელისუფლების ყავარჯნათ ყოფნას და საჭიროების დროს შეიარაღებულ დახმარების გაწევას. ასე ამბობენ და სწერენ ყოველ შემთხვევაში ანგორის მესაიდუმლე თურქული გაზეთები.

და მართლაც მხოლოდ ამით შეიძლება ამ ხელშეკრულების მთელი ხასიათის და შინაარსის ახსნა, კარაბექირის მფარველობითი კილო და «საბჭოთა რესპუბლიკების» წამომუხლისთავება კომუნისტური მოკავშირის წინაშე.

ჩვენ არ ვიცით, შეუსრულებს თუ არა მოკავშირე ქემალი თავის დაპირებებს ჩვენებურ კომუნისტებს, ან როგორ შეუსრულებს მას, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ძალაუფლებით დაბრმავებული კომუნისტები ამით ჩვენი ხალხის თვალში თავის თავს ცოცხლათ ასამარებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო და ევროპა.

საფრანგეთის სოციალ. და საქართველო.

ოქტომბრის 30-ს პარიზში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი. მის ანგარიშს შემდეგ №-ში მოვიყვანთ. ახლა გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ კონგრესი განსაკუთრებული სიმპატიით შეხვდა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელის, ირ. წერეთელის მისალმებას. აი როგორ აგვიწერს წერეთლის გამოსვლას საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო «პოპიულერი»:

«განსაკუთრებით მხურვალე ოვაციით ეგებება კონგრესი საქართველოს რესპუბლიკის სახელოვან წარმომადგენელის გამოჩენას ტრიბუნაზე. რენოდელი იძახის: «გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!» გაორკეცებული ტაშისცემა გაისმის.

ირ. წერეთელმა თავის სიტყვა ფრანგულათ წარმოსთქვა.

სოციოლოგიის საერთაშორისო კონგრესი ბოლშევიკურ იმპერიალიზმის შესახებ.

სოციოლოგიის საერთაშოსისო კონგრესმა ტურინში მიიღო დადგენილება, რომელშიაც ის გადაჭრით და კატეგორიულათ გმობს კავკასიის რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთის და სხვ. დაპყრობას საბჭოთა ჯარების მიერ, რომელთაც ტლანქი ძალის საშვალებით ჩააღრჩვეს ამ ხალხთა თავისუფლება, გააბატონეს მათზე ტეროორის, ცარცვა-გლეჯის და მკვლელობის რეჟიმი. და მით ფეხქვეშ გათელეს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი და ელემენტარული საკაცობრიო უფლება.

სოციალ. ინტერნაციონალი და საქართ.

პარიზში გამოვიდა ახალი წიგნი საქართველოზე შემდეგი სათაურით: «სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო». წიგნი შეიცავს 300 გვერდს და გამოცემულია საქარ. სოც.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის მიერ. ის განიყოფება ორ ნაწილათ. პირველ ნაწილში მოთავსებულია წერილები სოციალისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენლების, რომელთაც შარშან იმოგზაურეს საქართველოში. აქ არის შეკრებილი: სამი წერილი რამზაი მაკდონალდის, ერთი ლამაზი წერილი ტომ შოუსი, მგზავრის დაკვირვებანი ქ-ნ სნოუდენისა და ქ-ნ ვანდერველდესი, ერთი პატარა, მაგრამ შინაარსიანი წერილი ემილ ვანდერველდესი, ერთი მოზრდილი შრომა (35 გვ.) დე ბრიუკერის და კამილ ჰუისმანსის ორი სიტყვა. აქვე არის მოთავსებული პიერ რენოდელისა და ა. ინგელსის წერილების მთელი რიგი და ლუიზა კაუცკის შთაბეჭდილებანი საქართველოზე.

წიგნის მეორე ნაწილში შეკრებილია სხვა და სხვა სოციალისტურ ორგანიზაციათა საპროტესტო რეზოლიუციები საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის წინააღმდეგ და სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტურ პრესაში მოთავსებული წერილები ამავე მოვლენის გამო. მთელ რიგ რეზოლიუციათა შორის აღსანიშნავია: მეორე ინტერნაციონალის, «რეკონსტრუქტორების» კონფერენციის, ინგლისის პარტიის, ტრედიუნიონების, ბელგიელების, ფრანგების, რუსეთის მენშევიკების, შვედების, დონელების, ჩეხოსლოვაკებისა და ლატიშების განცხადებანი და რეზოლიუციები. წერილთა შორის ძლიერ საინტერესოა მშვენიერი წერილები კ. კაუცკის, ლ. მარტოვის და მერჰეიმის (საფრან. სინდიკალიზმის თეორეტიკოსი).

„დესპოტების აზროვნების ნიმუში".

(წერ. დე ბრიუკერისა)

მკითხველმა იცის, რომ მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა გაიზიარა საქართველოს სოციალისტების მიერ გამოთქმული სურვილი და მის თანახმად წინადადება მისცა რუსეთის კომუნისტებს შედგენილიყო შერეული კომისია ყველა ქვეყნების სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან; ამ კომისიას უნდა მინდობოდა ქართველი ხალხის თავისუფალი აზრის გამორკვევა იმის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფოებრივი წესწყობილება სურს მას.

მეორე ინტერნაციონალის მდივანმა, ამხანაგ რამზეი მაკდონალდმა, გადმოგვცა ჩვენ ასლი საქართველოს რევოლიუციურ კომიტეტის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას პასუხის. ეს გახლავთ ლანძღვა-გინების უმაგალითო კრებული, მიმართული მეორე ინტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალისადმი, რომლის წარმომადგენლები იხსენიებიან როგორც აშკარა აგენტები კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის.

ამ კურიოზულ დოკუმენტის ზრდილ ავტორს სრული სამი გვერდი, არც მეტი, არც ნაკლები—გაუჭრელებია ლანძღვა-გინებით, რომ როგორმე თავისი გაბოროტება დაეცხრო. ბოლოს ეს მოსკოვის აზრების თარჯიმანი, როგორც იყო, დამშვიდებულა და 5 პწკარით გვიპასუხებს, რომ საქართველოს რევოლიუციური კომიტეტი და კომუნისტური პარტია სიამოვნებით მიიღებენ კომუნისტურ ინტერნაციონალის და წითელ სინდიკატების დროშის ქვეშ შეკავშირებულ მთელი ქვეყნის რევოლიუციურ მუშების კონტროლს და ზედამხედველობას.

ერთის სიტყვით, ბოლშევიკი-დიქტატორები აშკარად აცხადებენ, რომ არ მისცემენ ქართველ ხალხს ნებას თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი.

ჩვენ უფრო ამგვარ პასუხს მოველოდით. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის წინადადებას არ ეკარგება თავის დიდი მნიშვნელობა, რადგან მან კიდევ უფრო ნათელჰყო ბოლშევიკ-დესპოტების სამარცხვინო სულისკვეთება და ეს უკანასკნელნი იძულებულნი არიან კიდევ ერთხელ აღიარონ, რომ ის დღე, როდესაც შეეძლება თავისუფალი ლაპარაკი ხალხის უმრავლესობას, რომლის წარმომადგენლობას ისინი კისრულობენ, იქნება დღე მათი ძალაუფლების გაუქმების.

დასასრულ დავსძენთ, რომ ამ უმსგავსო დოკუმენტს ხელს აწერს ვიღაც ორახელაშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის მდივანი, ხოლო რამზეი მაკდონალდს გადასცა ის კლიჩკომ, რუსეთის კომერციულ დელეგაციის წევრმა ლონდონში. (ბელგიის გაზ. «ლეპელი» 2 ოქტ.)

საფრანგეთის სოციალისტები ბოლშევიკების პასუხის შესახებ.

პარიზელ სოციალისტურ გაზეთ «ლა ფრანს ლიბრ» (1921 წ. 7 ოქტ. №-ში) დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

ხალხის ნების წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალის მდივანმა, ამხანაგ რამზეი მაკდონალდმა, საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან მიიღო ლანძღვა-გინებით სავსე უარყოფით პასუხი რუსეთის კომუნისტებისადმი მიმართულ წინადადებაზე, რათა «შედგენილიყო შერეული კომისია ყველა ქვეყნების სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან, რომელსაც უნდა მიეღო თავისთავზე ქართველი ხალხის თავისუფლად დაკითხვა მისთვის სასურველ მთავრობის ფორმის შესახებ».

რომ პასუხი ლანძღვა-გინებით სავსეა—ეს არავისთვის მოულოდნელი არ იქნება; რომ ის უარყოფითია—არც ეს გააკვირვებს იმათ, ვისაც გარკვეული წარმოდგენა აქვთ მოსკოვისა და თბილისის დიქტატორების ბატონობის მოძალადურ მეთოდებზე.

ეს პასუხი, რომელიც რამზეი მაკდონალდს გადასცა რუსეთის კომერციული დელეგაციის წევრმა ლონდონში კლიუჩკომ, ერთხელ კიდევ აუშკარავებს, რომ ბოლშევიკებს სასაცილოდაც არ ყოფნით თავისუფლების და სამართლიანობის პრინციპები, რომლებზედაც ისინი სიტყვით ყველგან და ყოველივეს მიუხედავად ბევრს ყვირიან.

ის ფაქტი, რომ მათ არ უნდათ შეეკითხონ ქართველ ხალხს მთავრობის ფორმის შესახებ, ამტკიცებს, რომ თვით მათ კარგად იციან, თუ რამდენად დაშორებული არიან ხალხის გულის ზრახვებს და რომ ქვეყნის მართვაში იმათ ერთად-ერთი უხეში ძალის იმედი აქვთ.

ასევე იქცეოდა «ცარ-ბატიუშკა» ნიკოლოზ მეორეც. და სწორედ ამან დაღუპა ის!

ერთა ლიგაში.

როგორც ვიცით, ერთა ლიგის ყრილობამ ქენევაში მიიღო რეზოლიუცია დამშეულ რუსეთის სასარგებლოთ. ამ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ დახმარება უნდა გაეწიოს აგრეთვე დამშეულ საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთს.

«მე ვინახულე—იტყობინება კ. საბახტარაშვილი-თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქვეყნების წარმომადგენელნი. მომეცა შეძლება ორჯერ შევხვედროდი ბრიტანიის ოფიციალურ წარმომადგენელს ფიშერს, რომელსაც საფუძვლიანათ ავუხსენი ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა და ის, თუ რას ვსთხოვთ ჩვენ ამ ქამათ ერთა ლიგას. ფიშერი დიდი ყურადღებით მოეპყრა ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს. შედეგათ ამას მოჰყვა ის, რომ მან ინიციატივაც აიღო დახმარების კომისიაში ჩვენ სასარგებლოთ.

ფიშერის შემდეგ, რასაკვირველია, სხვებსაც აეხსნა ენა და კომისიამ ერთხმად მიიღო ჩვენი დახმარების საკითხი».

კომისიის მოხსენებაში გარდა რეზოლიუციისა, რომელიც მან წარმოადგინა—საყურადღებოა ერთი მუხლი—სახელდობრ მეხუთე, სადაც ნათქვამია რომ დახმარება არ უნდა განისაზღვრებოდეს რუსეთით «არამედ ის უნდა გავრცელდეს აგრეთვე: აზერბეიჯანზე, საქართველოზე და სომხეთზე და საბოლოოთ კავკასიის რაიონებზე, რომელნიც საშინელ კრიზისს განიცდიან და რომელთა უბედურობა უთუოთ გაუარესდა ბოლშევიკურ ჯარების ხანგრძლივი ოკუპაციის გამო». ამ დებულების გაყვანაში ძლიერ დახმარებია ჩვენებს ინგლისის წარმომადგენელი ფიშერი. დიდი სამსახური გაუწია აგრეთვე ბ. მოტამ—შვეიცარიის წარმომადგენელმა.

კომისიის მოხსენება დაამტკიცა პლენუმმა, მხოლოდ შეტანილი იქმნა ორი დამატება, რომლიდგან ერთი ეკუთვნის ამავე ფიშერს, და ხელახლა ეხება საქართველოს და კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებს.

თვით პლენუმზე, მომხსენებელმა მოტამ ჩვენ შესახებ ილაპარაკა და თავის მშვენიერ სიტყვაში ჩვენს შესახებ პოლიტიკური მომენტიც გაურია. აი მისი სიტყვები მოგვყავს ოქმებიდან, რომელიც ხელთ გვაქვს. «მან (ე. ი. კომისიამ) აუცილებლათ იცნო აღენიშნა, რომ დახმარების საჭიროება არ განისაზღვრება მხოლოდ თვით რუსეთით, არამედ არსებობენ ძლიერ საინტერესო ქვეყნები, რომლებისაკენ მიმართულია ჩვენი გულწრფელი ყურადღება და რომლებისადმი ჩვენ ვგრძნობთ ერთგვარ სიმპატიას. ასეთი არიან სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო.

საჭირო იყო მათი დასახელება, რათა გაიგონ, რომ ერთა ლიგას სურს, რომ ადამიანთა სოლიდარობა მოქმედებდეს აგრეთვე ამ პატარა თავისუფალ ხალხთა სასარგებლოთ, რომელთაც ის უსურვებს განთავისუფლებას და სუვერენობას».

პლენუმის სხდომაზე ფიშერიც შეეხო საქართველოსა და სომხეთს. მან სთქვა, რომ რუსეთის დამშეული რაიონი იმდენათ ფართოა, რომ ხშირათ გვავიწყებს სხვა მხარეებს, სადაც აგრეთვე შიმშილობენ, ასეთია საქართველო და სომხეთი... ჩვენ მოხსენებაში რუსეთზეა ლაპარაკი—ამბობს ფიშერი, მაგრამ უნდა გავიხსენოთ აგრეთვე საქართველო და სომხეთიც, როცა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის დრო დადგება და სხვ.

საერთოთ ფიშერის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კომისიაში ფიშერს პირდაპირ განუცხადებია, რომ, თუ ტეხნიკურათ რუსეთის შველა ძნელია, საქართველოსი და სომხეთის დახმარება ადვილია და ამათ ამიტომ უფრო უნდა დავეხმაროთო.

გაკვრით ჩვენს შესახებ ულაპარაკნია აგრეთვე ბელგიელ ლაფონტენს და ფინლანდიელ ენკელს. ამ უკანასკნელმა სხვათა შორის სთქვა, როგორც ცნობილია, რუსეთის რევოლიუციის შემდეგ კავკასიის ერებმა შექმნეს თავიანთი ეროვნული და დემოკრატიული მთავრობანი და საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურათ იცნო მათი დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა რეალურათ და გულწრფელათ არ იყო ცნობილი, ვინაიდან დღეს საბჭოთა რუსეთის ჯარები ამაგრებენ ამ რესპუბლიკებში კომუნისტურ მთავრობას, რომელიც უამისოთ ვერ შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას. და ამის გარდა რუსეთის ჯარის იქ ყოფნამ—როგორც ნათქვამია კომისიის მოხსენებაში, გააუარესა მდგომარეობა და გააძლიერა შიმშილობაო.

პარმენ ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო.

პარიზი. დავსტირით თავდადებულ მებრძოლის პარმენის დაკარგვას, ვუთვლით მხურვალე თანაგრძნობას მის ოჯახობას. თავისუფალი საქართველო არ დაივიწყებს მის ამაგს.

ჟორდანია, გეგეჭკორი, რამიშვილი, კანდელაკი, ჩხეიძე, მდივანი, თაყაიშვილი, წერეთელი, ჩხენკელი, ჩხიკვიშვილი, საბახტარაშვილი, ელიგულაშვილი.

კონსტანტინოპოლი. უზომოთ დაგვაღონა ძვირფას ამხანაგის პარმენის უდროოთ დაკარგვამ. დაუღალავი და მედგარი მებრძოლი, ხალ-

ხისა და სამშობლოსათვის თავდადებული პარმენი გახდა ბოლშევიკების ტირანიის მსხვერპლი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი ხალხი არ დაივიწყებს მოღალატეთა ვერაგობას და თავის დროზე სამაგიეროს მიუზღავს მათ.

ჩვენ—სამშობლოს დაშორებული ამხანაგები ვუცხადებთ გულწრფელ თანაგრძნობას მის დამწუხრებულ ოჯახს და ამხანაგებს.

კ. გვარჯალაძე, ი. ჭავჭანიძე, ნ. ელიავა, ე. ლომთათიძე, დ. შარაშიძე, ნ. კალანდაძე, ნ. ხომერიკი, ვ. ჯულელი, რ. ყიფიანი. კ. სულაქველიძე, ფ. ლორია, ვ. გოგუაძე, კ. ჭუმბურიძე, ს. კორძაია, ვ. წულაძე, მ. რუსია, ნ. რუსია, რ. არსენიძე, ვ. ალიხანოვი, ნ. ნიუარაძე, ბ. ულენტი, გ. ერაძე, რ. აუშტროვი, ა. ემუხვარი, ი. ჯანჯღავა, ს. გაბუნია, მ. კობგრიძე, ი. ქარსელაძე.

ასალი მსხვერპლი ბოლშევიკების ტერორის.

ასეთი სათაურით მოთავსებულია შემდეგი წერილი საფრანგეთის პრესაში ჩვენი უდროოთ გარდაცვალებულ ამხ. პ. ჭიჭინაძის შესახებ:

«პ. ჭიჭინაძე, ერთი საუკეთესო წევრი საქართველოს მენშევიკური პარტიის, გარდაიცვალა ბოლშევიკების საპყრობილეში. მისი დაკარგვა დიდ აღშფოთებას გამოიწვევს ქართველ ხალხში ახლანდელი მისი მართველების წინააღმდეგ, რომელნიც შეუბრალებელი ტეროორის საშვალებით განაგებენ ქვეყანას.

განსვენებული სოც.-დემ. პარტიის ერთი მებრძოლი წევრთაგანი იყო 1896 წლიდან. 1903 წელს იგი ქუთაისის პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარეთ ითვლებოდა, როდესაც მეფის ჟანდარმებმა დაიჭირეს და რუსეთში გადაასახლეს, საიდანაც 1905 წელს დაბრუნდა. რეაქციის სასტიკ წლებში, რომელიც მოყვა 1905 წ. რევოლიუციას, ის მუშაობდა როგორც წევრი ამიერ-კავკასიის სარლქო კომიტეტის და თანამშრომლობდა პარტიულ გამოცემებში. 1911 წელს ის ხელახლა დაიჭირეს და საქართველოდან გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 1918 წ. დაბრუნდა. გადასახლების ხანაში ის მონაწილეობას იღებდა როსტოვის რევოლიუციურ მოძრაობაში და ამ ქალაქის წარმომადგენლათ იქნა გაგზავნილი 1917 წელს პეტერბურგის დემოკრატიულ თათბირზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში 1919 წელს და დაინიშნა შინაგან საქმ. მინ. ამხანაგათ, ხოლო 1920 წელს სამხედრო მინისტრათ. მას ეს პოსტი ეჭირა უკანასკნელი ომის განმავლობაში, როცა საქ. რესპუბლიკას ბოლშევიკების და ქემალისტების ჯარი შემოესია.

ბოლშევიკების მართველობამ დაატუსაღა უმიზეზოთ ეს ძველი მებრძოლი, და თუმცა ის მძიმეთ დაავათმყოფებული იყო ციხეში, მაინც უარს ეუბნებოდა განთავისუფლებაზე და იგი მხოლოდ მაშინ გადასცა ცოლშვილს, როცა უკვე სულთმობრძავი იყო.

მის სახელს არ დაივიწყებს საქართველოს მუშათა კლასი».

მილანში.

(სოც. კონგრესი)

15 ოქტომბერს დამთავრდა იტალიის სოც. პარტიის ყრილობა, რომელმაც საბოლოოთ ჩამოაშორა იტალიის მუშათა პარტია მესამე ინტერნაციონალს და ამით მოსკოვის გავლენას.

ორგანიზაციულათ ყველაზე სუსტი, და გატაცებული ტაქტიკის მიმდევარი იტალიის მუშები თავიდანვე მოსკოვის გავლენას ექვემდებარებოდენ და მესამე ინტერნაციონალის წევრათ ითვლებოდენ.

ეს თუ გნებავთ ერთათ-ერთი პარტია იყო ევროპაში, რომელიც მთლიანათ შევიდა მესამე ინტერნაციონალში. მისი მარქსისტული ფრთა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა პარტიში, არ ჩამოშორდა მას და შიგნიდან მუშაობით ცდილობდა მოსკოვის ტაქტიკის ყველა შეცდომებზე და ნაკლზე მითითებით და მისი პრაქტიკული უარყოფითი შედეგების მკაცრი კრიტიკით გაენთავისუფლებია იტალიის მუშათა მასსა მოსკოვის გამაბრუებელ ფრაზეოლოგიის გავლენისაგან. რამდენიმეთ ეს მიზანი კიდეც მიღწეულ იქნა. და ეს გამოჩნდა მილანშის ყრილობაზე.

მართლაც რას გვეუბნება ეს ყრილობა?

ის გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკებმა, სადაც კი ფეხი შედგეს, ყველგან დეზორგანიზაცია დასთესეს, მუშათა კლასი და მისი ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასუსტეს, ის გვიჩვენებს ამასთანავე, რომ იტალიის პროლეტარიატი ხედავს უკვე მოსკოვის ამ უკუღმართ გზას და იმიჯნება მისგან. სწორათ გაგებული კლასობრივი ბრძოლა, როგორც ამას გვასწავლიდა მარქსი და ენგელსი, კვლავ შედის თავის ძალაში და ბატონობას პოულობს მუშათა წრეებში.

მართლაც რას წარმოადგენდა მუშათა პარტია ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, როცა ის მესამე ინტერნაციონალის «ლოცვა-კურთხევას» არ იყო მოკლებული და ლენინის დირექტივებს უხვად იღებდა?

პირველათ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ერთგული მონა—კომუნისტები მაინც ცალკე კომუნისტურ პარტიათ არიან შეკავშირებული იტალიაში და ასეთ განხეთქილებას მოსკოვთან ყოფნა ვერ აცილებდა თავიდან იტალიის მუშებს.

მეორე მხრივ თანდათან სუსტდებოდა და იშლებოდა მუშათა ორგანიზაციები იმ ურა-ტაქტიკის გამო, რომელსაც მოსკოვის გავლენა უკარნახებდა იტალიის მუშათა მოძრაობას.

აი სურათი იტალიის სოც. პარტიისა, კონგრესის წინ:

ამ დროს პარტიაში ირიცხებოდა სულ 2,834 ორგანიზაცია, ანუ სექცია. ხოლო საწევრო გადასახადის შემომტან წევრთა რიცხვი იყო 106,000, როგორც ხედავთ თითო ორგანიზაციაზე 40 წევრიც არ უწევს ორთა შუა რიცხვით. საერთოთაც ეს რიცხვი მეტათ მცირეა იტალიისათვის, სადაც 30 მილიონი მცხოვრები ითვლება და წარმოება საკმაოთ განვითარებულია.

მაგრამ უფრო საკურადღებოა ის, რომ ამ 2,834 სექციიდან არჩევნებში მიიღო მონაწილეობა სულ 1895 სექციამ. ხოლო 939 სექციაში არც საარჩევნო კრებები, არც არჩევნები არ მომხდარა. ორში ერთი: ან ისინი ე. ი. თითქმის მესამედი პარტიის, მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, ან და პარტიის ცხოვრებით ოდნავათაც დაინტერესებული არ არიან. არც ერთი ეს არ მოწმობს პარტის ორგანიზაციულ სიძლიერეს და სიცხოველეს.

სულ კონგრესზე იყო წარმოდგენილი 79,389 ხმა, მაშასადამე მესამედი იმათ მხრივაც აკლდა პარტიას, რომელთაც საწევრო გადასახადი რეგულიარულათ შემოაქვთ.

უმთავრესათ პარტიულ კონგრესის საკითხები წყდება წინასწარ კრებებზე, მასაში. ამ მხრივ საინტერესოა აღნიშვნა ყველა მიმდინარეობის, რომელსაც ადგილი აქვს პარტიაში.

სულ სამი მთავარი სადაო საკითხი იყო წინასწარ კრებებზე გასარჩევი: 1) ტაქტიკა პარლამენტში, 2) დამოკიდებულება მოსკოვის ინტერნაციონალთან და 3) პარტიიდან გაძევება ტურატის, მოდილიანის და სხვ. ძველი ლიდერების.

სამი მიმდინარეობა იბრძოდა ამ კითხვების გარშემო. ტურატის ჯგუფი, სერატის ჯგუფი და კომუნისტების ფრთა.

მოსკოვმა დირექტივები გამოუგზავნა თავისიანებს: პარლამენტში ორგანიული მუშაობის უარყოფა, არავითარი შეთანხმება სხვა პარტიებთან, სრული მორჩილება მოსკოვის ინტერნ. დირექტივების, და დაუყონებლივ გაძევება ტურატის, მოდილიანის და სხვა «მემარჯვენეების».

ამის წინააღმდეგ სასტიკათ ილაშქრებდა ტურატის ჯგუფი: ისინი ენერგიულ კამპანიას ეწეოდენ და იცავდენ პარლამენტში ორგანიული მუშაობის წარმოებას მუშათა ინტერესების დასაცველათ, ამავე ინტერესების მიხედვით სხვა პარტიებთან შეთანხმებას და საჭიროების დროს მთავრობაში შესვლასაც. გადაჭრით უარყოფდენ მოსკოვიდან რაიმე დირექტივების და ბრძანებების მიღებას, უარყოფდენ მესამე ინტერნაციონალს და რასაკვირველია ტურატის და სხვ. მათი გულისთვის გარიცხვასაც.

«მემარცხენე» ფრთა კომუნისტების სავსებით იზიარებდა მოსკოვის დირექტივებს.

საშუალო მიმდინარეობა სერატის მეთაურობით იცავდა შუათანა ხაზს, რომელსაც იზიარებდა ცენტრალური კომიტეტიც. ის შესაძლებლათ აღიარებს ორგანიულ მუშაობას პარლამენტში, მაგრამ წინააღმდეგია სხვა პარტიებთან შეთანხმების, ემხრობა მესამე ინტერნაციონალში დარჩენას, მაგრამ არ იზიარებს მოსკოვის დირექტივებს, და დამოუკიდებლობას იცავს შინაურ საქმეებში. უარყოფით ეპყრობა «მემარჯვენეთა» გარიცხვას მოსკოვის ბრძანებით.

ამ შუათანა ხაზმა მიიღო წინასწარ კრებებზე დიდი უმრავლესობა 45—50 ათასი, ტურატიმ 20,000-მდე კომუნისტებმა 10,000-ზე მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუათანა ხაზი, როგორც ხედავთ მერყევია, გაურკვეველია, ეკლეკტიურია—იგი ცდილობს შეურიგებელის შერიგებას, მაგრამ ამით ვერც ერთ ფრთას ვერ აკმაყოფილებს. თუ დღეს მას გავლენა დაურჩა, ცხადია ეს გარდამავალი მდგომარეობის ბრალია და არა მათი პრინციპების სისწორის. ამას გრძნობდენ მოსკოვის ბოლშევიკებიც და ამიტომ ცდილობდენ თავის გავლენის ქვეშ დაეყენებიათ ყრილობა. ამისთვის კი აუცილებლათ საჭირო იყო ძველი ლიდერების ჩამოშორება, მათი გავლენის მოსპობა და ასე სერატის მრყეველი ჯგუფის თავისკენ გადაყვანა.

სწორეთ ამიტომ ყრილობაზე გამორიცხვის საკითხი გადაიქცა უმთავრეს საკითხათ.

გარეშეთაგან ყრილობას დაესწრენ მხოლოდ მოსკოვის, გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტები და ავსტრიიდან ფრიდრიხ ადლერი, რომელსაც დიდხანს არ აძლევდენ სიტყვის წარმოთქმის ნებას, ფორმალური მოსაზრებებით. საბაგიეროთ კომუნისტები მისალმების მაგიერ გრძელ-გრძელ სიტყვებს ამბობდენ ტურატის წინააღმდეგ და ამ რეფორმისტებისაგან პარტიის გაწმენდას ურჩევდენ ყრილობას.

მაგრამ ეს უკვე ისეთი უხეში ჩარევა იყო ყრილობის მუშაობაში, რომელმაც დიდათ ააშფოთა ყველა დამსწრენი. გაისმოდა რეპლიკები: «მოგვშორდით თავიდან, ნუ ერევით ჩვენს საქმეში» და სხვ. უფრო თავდაჭერილნი გულგრილათ ისმენდენ კომუნისტების გაცხარებულ აგიტაციას. შედეგი ამ სიტყვიერი კორიანტელისა ის იყო, რომ როცა ტურატი, ძველი მებრძოლი სოციალისტი და ლიდერი, გამოჩნდა ტრიბუნაზე, მთელი ყრილობა მას ოვაციით შეეგება. ცხადი იყო მორალური გამარჯვება უკვე მის მხარეზე გადაიხარა.

მართლაც დიდი ხნის დებატების შემდეგ, რომელიც უმთავრესათ დასტრიალებდა ტურატის, ბოლშევიზმის შეურიგებელ მტრის და მოწინააღმდეგის, გაქევების საკითხს, რომელმაც არა ერთი სკანდალი და ცემა-ტყეპაც გამოიწვია ყრილობაზე, კრება დამთავრდა ბოლშევიკებისათვის მოულოდნელი შედეგებით. «მემარჯვენეთა» გამორიცხვას ამოუვიდა 3,765 ხმა, წინააღმდეგი იყო 75,624. სჩანს თვით იმათგანაც კი ვინც წინასწარ კრებებზე კომუნისტების ხმებით გავიდენ, ყრილობაზე თავის აზრი პარტიის მთლიანობისკენ გადახარეს.

ასეთ «საჯაჯ» საქმეს მოსკოვის აგენტები, რასაკვირველია, არ მოელოდენ. თავრეტ დასხმულებმა მე-3 ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომელნიც ყრილობაზე იყვენ დაუკონებლივ, პრეზიდიუმში განცხადება აფრინეს, რომელშიაც აღიარებდენ, რომ «იტალიის პარტიამ შეგნებულათ და საბოლოოთ დააყენა თავის თავი მესამე ინტერნაციონალის გარეშე». ამ «ღრამოტის» წაკითხვამ კონგრესის დელეგატებში ერთსულოვანი სიცილი გამოიწვია.

შემდეგ კონგრესმა აირჩია ცენ. კომიტეტი, რომელშიაც მოხვდენ მხოლოდ სერატის მომხრენი. ტურატის ჯგუფმაც თავის ხელმძღვანელი ცენტრი გაიჩინა, და კონგრესი ამით დათავდა.

კომუნისტები თავის პრესაში ტურატის სრულ გამარჯვებაზე გაჰკივიან. მაგრამ უნდა სიმართლე ითქვას, რომ მიუხედავათ კომუნისტების სასტიკი დამარცხებისა—ტურატის იდეებს უმრავლესობა არ მოუპოვებია. მან თუ გნებავთ გაიმარჯვა სავსებით კომუნისტებზე და მათ ფეხი ამოაკვეთინა. მაგრამ იტალიის სოციალ. პარტიაში მაინც ბევრი დარჩა გაურკვეველობა და ორპოფობა, რაც კიდევ დიდ და ენერგიულ მუშაობას მოითხოვს. ბოლშევიკურ ფრაზეოლოგიის გავლენა კიდევ საკმაოთ არის დარჩენილი მუშათა მასსებში და ასაზრდოვებს იმ ორპოფობას, რომელიც ახასიათებს სერატს და მის მიდევრებს.

მაგრამ რაკი მუშათა კლასმა ერთხელვე თავი დააღწია მოსკოვის დიქტატორებს და დამოუკიდებელ გზაზე შედგა, კლასიური ინსტიქტი და მასსიური მოძრაობის გარდაუვალი ლოდიკა დააყენებს მას სწორ მარქსისტულ გზაზე. უკვე ის ფაქტი, რომ კრიტიკულ ხანაში მან შეინარჩუნა მთლიანობა და ხელი არ ჰკრა იმ ლიდერებს და ჯგუფებს, რომელთა აზრს უმრავლესობა არ იზიარებს დღეს-დღეობით მაინც, საუკეთესო გარანტიას იძლევა იმისას, რომ მომავალში პარტიის მთლიანობა და ორგანიზაციული სიმტკიცე თანდათან გამაგრდება და გაძლიერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეციის სოციალისტური მთავრობა.

უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში შვეციაში სოც.-დემ. პარტიამ საუცხოო გამარჯვება მოიპოვა.

სულ პარლამენტში, რომელიც 230 დეპუტატისაგან შესდგება არჩეულია:

სოც.-დემოკრატი	93
კონსერვატ.	62
ლიბერალები	41
გლეხთა კავშირი	21
მემარცხენე სოციალ.	6
კომუნისტები	7

ბურჟუაზიულმა პარტიებმა დაკარგეს 24 მანდატი. კომუნისტებმა, როგორც სჩანს, ისე მცირე ხმები მიიღეს, რომ 7-ზე მეტი დეპუტატი ვერ გაიყვანეს. ცხადია, მოსკოვის ფულებმა ვერ მოახერხა შვეციის მუშათა მოძრაობაში დეზორგანიზაციის შეტანა და მათი დასუსტება. მუშათა კლასმა ზურგი შეაქცია მოსკოვის აგენტებს და ისევ ძველ, ნაცად, სოციალ-დემოკრატიულ გზას დაადგა.

ამის შედეგი იყო ის, რომ მეფე იძულებული გახდა მუშათა ლიდერის—ბრანტინგისთვის მიემართა კაბინეტის შესადგენათ.

ბრანტინგი—ძველი მეთაური შვეციის მუშათა პარტიის და წევრი სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროსი, შეუდგა ამ მოვალეობის შესრულებას. თავდაპირველათ სცადა მან ლიბერალებთან შეთანხმება, რომ მტკიცე უმრავლესობა მოეპოვებია კაბინეტისთვის პარლამენტში. მაგრამ ლიბერალებმა უარყვეს ბრანტინგის წინადადება. მათ სოციალისტებთან თანამშრომლობას ბურჟუაზიულ ანტისოციალისტური ბლოკის შედგენა არჩიეს და ამ რიგათ მთელი ბურჟუაზიული კლასი ერთათ დაირაზმა მუშათა კლასის წინააღმდეგ. მას ძილს უფრთხობს სოციალიზმის აჩრდილი, რომელიც თან სდევს მუშათა პარტიის გაძლიერებას.

ბრანტინგმა ასეთ პირობებში შესაძლებლათ დაინახა გაბედული ნაბიჯი გადაედგა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ წმინდა სოციალისტური მთავრობა შეადგინა. თვითონ ბრანტინგი ახალ კაბინეტში საგარეო მინისტრის პორტფელს ატარებს. დანარჩენი პორტფელებიც სოციალ. პარტიის გამოჩენილ წევრებს შორის არის განაწილებული, რომელთაგან ზოგნი წინეთ უკვე იყვნენ კოალიციურ სამინისტროს წევრებათ.

ეს პირველი წმინდა სოციალისტური სამინისტროა დასავლეთ ევროპაში. მისი მდგომარეობა მართალია ვერ არის ძალიან მტკიცე, რადგან სოციალისტები რიცხვით ნახევარზე ცოტა ნაკლები არიან პარლამენტში, მაგრამ სამაგიეროთ მათ მხარს უჭერს შეკავშირებული ძლიერი მუშათა კლასი, რომლის მჭიდროთ დარაზმული რიგები ვერ შეარყია ვერც რეაქციის სუსხმა და ვერც ბოლშევიკების ავანტიურამ!

უკანასკნელათ მიღებული ცნობებიდან ბრანტინგმა უკვე გააკეთა პარლამენტში დეკლარაცია თავის სამოქმედო პროგრამის, რომელშიც უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული მუშათა საკითხს, და სოციალიზაციის საკითხს ზოგიერთ მთავარ დარგებისთვის; ამ უკანასკნელი საკითხის შესასწავლათ უნდა შედგეს წინასწარი კომისიები. საერთოთ პროგრამა ზომიერია, რაც აიხსნება იმით, რომ სოციალისტებს უმრავლესობა არ ყავთ პარლამენტში და მაშასადამე ნდობის მისაღებათ საჭიროა ბურჟუაზიულ პარტიების ერთი ნაწილის მაინც თავის მხარეზე გაყვანა, უმთავრესათ ლიბერალების. ამიტომ მწვავე კლასობრივი საკითხები, მხოლოდ მუშავდება, და თუ მუშათა კლასმა შესძლო სათანადო ძალღონის გამოჩენა მხოლოდ მაშინ დადგება დღიურ წესრიგში, როგორც დაუყოვნებლივ განსახორციელებელი. ყოველ შემთხვევაში მან მიაღწია იმას, რომ მუშათა კლასი მიიღებს დიდ და სერიოზულ სახელმწიფოებრივ გამოცდილებას, რაც მისთვის ასე აუცილებელია თავის ისტორიული მისიის შესასრულებლათ.

სამინისტროს კრიზისი ბელგიაში.

ბელგიის სოციალისტი მინისტრები: ვანდერველდე, ანსელე, ვოტერსი და დესტრე გამოვიდენ კაბინეტიდან. და ამ რიგათ დაიშალა ის შეთანხმება პარტიებ შორის, რომელიც მსოფლიო ომის პირველი დღეებიდან დაიწყო და აქამდე გრძელდებოდა.

მთავარი მიზეზი ამ გამოსვლის არის—ბურჟუაზიული პარტიების სურვილი სოციალისტების თავიდან მოშორების და წმინდა ბურჟუა-

F8349

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიულ კოალიციის საშვალებით ქვეყნის მართვის. მათ მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ სოციალისტების გავლენა ძლიერდება, მათი მიმდევრების რიცხვი იზრდება და ამით მთელი კლერიკალურ-ბურჟუაზიული სამფლობელო წითელი საფრთხის წინაშე დგება.

მათ ვერ უშველა ვერც მოსკოვის გამხრწნელმა გავლენამ, რადგან ის არ ედება ბელგიის მუშებს და კომუნისტები იქ თითზე ჩამოსათვალი არიან, რის გამო მუშათა მოძრაობის დასუსტებასა და გათიშვაზე სერიოზულათ ფიქრიც კი არ შეიძლება.

ბურჟუაზიული პრესა ამიტომ თვით ვანდერველდეს და მის ამხანაგებს სისტემატიურათ ესხმის თავს და ცდილობს მათი სახელის გატეხას ყოველი საშვალებით.

ერთი ასეთი ბრძოლის საშვალება იყო სამინისტროდან მათი მოშორება და ამას დღე-დღეზე მოელოდენ.

საბაბიც მალე გამოჩნდა. ეს იყო კონფლიქტი სამხ. მინისტრ დუმეზსა და სოციალისტ მინისტრ ანსელეს შორის.

საქმე შემდეგშია: უკვე რამდენიმე თვეა ბელგიის მუშათა პარტია კომპანიას აწარმოებს სავალდებულო სამხედრო ბეგარის ვადის შესამცირებლათ 6 თვემდე. ლიბერალებმა ამის საწინააღმდეგოთ ნაციონალისტური მანიფესტაციები მოაწყვეს, რომლის დროსაც ხვედენ სოციალისტურ დროშებს, ძალადობას მიმართეს მუშათა პარტიის წევრთა მიმართ და სხვ.

ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი სხვათა შორის ქ. ლუვიერში. აქ სოციალისტებმა საპასუხოთ გამართეს დიდი კონტრ-დემონსტრაციები, რომელშიაც მრავალ-რიცხოვანმა მუშათა მასსამ და ომის ყოფილ მონაწილეთა ორგანიზაციებმა მიიღეს მონაწილეობა.

დემონსტრაციას დაესწრო მინისტრი სოციალისტი ანსელე და ომის მონაწილეთა სოციალისტურ ორგანიზაციას ჩაბარა წითელი დროშა, რომელზედაც გამოხატული იყო სიმბოლო მილიტარიზმთან ბრძოლის: «ჯარის-კაცი ამტვრევს თოფს»...

სამხ. მინ. დუმეზმა მოიმიზეზა ეს გარემოება და მოითხოვა ანსელეს გადაყენება. მინისტრთა თავმჯდომარემ—ვიასტმაც მას მხარი დაუჭირა. მაშინ ყველა სოციალისტმა მინისტრებმა დაუყოვნებლივ შეიტანეს განცხადება, რომ ისინი თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას. პარლამენტში კათოლიკეები შეუერთდენ ლიბერალებს და 90 ხმით 60 წინააღმდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ვიასტის მოქმედებას და კიცხავს ანსელეს ანტიმილიტარისტულ ნაბიჯს.

სოციალისტი მინისტრების პორტფელი გადაეცა ლიბერალებს. ამ რიგათ შედგა ბლოკი ლიბერალების და კათოლიკების. მაგრამ ამ ახალი სამინისტროს მდგომარეობა მაინც მტკიცეთ ვერ ჩაითვლება. ბელგიაში მუშათა კლასის სურვილის წინააღმდეგ დღეს ვერც ერთი სამინისტრო დიდხანს ვერ იარსებებს. ამას გრძნობს ყველა. და ამიტომ არის, რომ ახალმა მთავრობამ დაუყოვნებლივ დანიშნა ახალი არჩევნები პარლამენტის, რომელიც ამ ნოემბერში უნდა მოხდეს.

არჩევნების მთავარი საკითხი იქნება ალბათ სამხედრო სამსახურის ვადა და რაც უმთავრესია —გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა შეერთებულ ბურჟუაზიულ პარტიებსა და სოციალისტურ მუშათა-კლასს შორის.

ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში, ამას მახლობელ დღეებში დავინახავთ.

შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ წარსულში კოალიციის დროს მუშათა კლასმა სერიოზულათ ისარგებლა თავის გაელენით მთელი რიგი რეფორმების გასატარებლათ. ასეთია: დემოკრატიზაცია საარჩევნო უფლების, 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება, ფინანსიური პოლიტიკის დემოკრატიზაცია და ომით დანგრეულ სამრეწველო ცხოვრების აღდგენა.

ბელგიის მუშათა კლასი, მჭიდროთ დარაზმული, ამ რეფორმებს გამოიყენებს შემდეგი გამარჯვებებისა მოსაპოვებლათ.

სოციალ. პარტიები ევროპაში

გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის და ავსტრიის სოც.-დემ. პარტიათა ცენტრალურ კომიტეტის საერთო მოწოდება.

ვინაიდან ამ ბოლო დღეებში გაძლიერდა მონარქისტული კონტრ-რევოლიუციის საშიშროება, რომელიც ემუქრება რესპუბლიკანურ წყობილებას, ცენტრალური კომიტეტები გერმანულ-ავსტრიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხო-სლოვაკიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის, გერმანულ სოც.-დემ. მუშათა პარტიის ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკაში, გერმანიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის და გერმანიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის—შეთანხმდენ გამოუშვან შემდეგი განცხადება:

გერმანიის რესპუბლიკის, ჩეხო-სლოვაკიის და გერმანულ-ავსტრიის მთელი პროლეტარიატის საერთო ინტერესები მოითხოვენ ამ ქვეყნებში რესპუბლიკანურ წყობილების დაცვას და განმტკიცებას ყოველგვარი პარლამენტარული და პარლამენტის გარეშე ზომების მიღებით. ამ პარტიათა ხელმძღვანელი ორგანოები მოელიან, ერთის მხრით, მუშათა კლასის პოლიტიკურ წარმომადგენლობათაგან, რომ ისინი მთელ თავის პარლამენტარულ ძალას მოიხმარენ მონარქისტულ ავანტიურების დასათრგუნავად და გააფრთხილებენ თავიანთ მთავრობებს, რომ მათ სასტიკი პასუხი მოეთხოვებათ, თუ დროზე არ მიიღეს ენერგიული ზომები იმ გაფოსვლების ასალაგმავად, რომლებიც სამოქალაქო ომს ამზადებენ.

პარტიათა ხელმძღვანელი ორგანოები დარწმუნებული არიან, მეორე მხრით, რომ ამ ქვეყნების მუშათა კლასი მზათაა ყველა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციები აამოქმედოს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს ამ წყეული დინასტიების აღდგენას, და ამით მილიტარიზმისა და პოლიტიკურ-სოციალურ მონობის სისტემის დაბრუნებას.

ქვემორე ამისა ხელის მომწერ სოციალისტურ პარტიათა ხელმძღვანელი ორგანოები ურთიერთ შორის სრულ კონტაქტს დაიცავენ ამ საფრთხის თავიდან ასაშორებლათ. ამავე დროს ისინი მოწოდებით მიმართავენ მთელი ქვეყნის სოციალისტურ მუშათა პარტიებს, რათა უკანასკნელებმა მხარი დაუჭირონ თავდაცვის საქმეში ამ ქვეყნების პროლეტარიატს, რომელთაც პირველ ყოვლისა მოელის რეაქციის საშიშროება. განსაკუთრებით მოაგონებენ ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის და იტალიის პარტიებს მათ გაორკეცებულ საპასუხისმგებლო მოვალეობას, რადგან აშკარაა, რომ ყოველი რესტავრაციული ცდა ამ ქვეყნების გაბატონებულ კლასთა ოფიციალურ თუ არა ოფიციალური წრეების პოლიტიკით სულდგმულობს.

ხელს აწერენ: **გერმანულ-ავსტრიის ს.-დ. მ. პ. ჩეხო-სლოვაკიის ს.-დემ. მ. პარ., გერმაანიის ს.-დ. მ. პ. (ჩეხო-სლოვ. რესპ.), გერმ. ს.-დ. პარტია (უმრავ.), გერმ. დამ. ს.-დ. პარტია.**

სილეზიის გარშემო.

ევროპა დაიყო და დაქუცმაცდა. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ლოზუნგი, წამოყენებული სოციალისტური დემოკრატიის მიერ, ცალიერ ოცნებათ იქცა. ერთა თვითგამორკვევა კი მხოლოდ დამარცხებულ სახელმწიფოებისადმი იქნა მიყენებული და ისიც ისეთი სახით, რომ ახალ-ახალ კონფლიქტების წყაროთ უნდა შეიქმნეს.

ავსტრიის სახელმწიფო ხომ ერთიანათ დაიშალა, რადგან იგი ერთა კონგლომერატს წარმოადგენდა, ერთი მეფის ხელქვეით ხელოვნურათ შეერთებულს და ძალით შეწებებულს გერმანული ელემენტების—ავსტრიის ნემცების უეჭველი გეგემონიის ქვეშ. და სწორეთ ამ გეგემონიის დამხობა იყო მთავარი საფუძველი მოკავშირეთა მიერ ავსტრიის დარღვევის და ეროვნულ პატარ-პატარა სახელმწიფოებათ დაყოფის. ნემეცების ძალა ამით დიდათ შეიბოჭა და შესუსტდა. კიდევ მეტი. ავსტრიაში იგი, ცალკე გამოყოფილი, ყველაზე უძლურია ეკონომიურათ და თან განიარაღებული.

მაგრამ არა ნაკლებ ცდილობენ მოკავშირენი გერმანიის დასუსტებასაც. ელზას-ლოტარინგია ხომ ჩამოართვეს, სადაც აუარებელი ეკონომიური სიმდიდრის წყაროები მოიპოვებოდა. რურის სამთო სამრეწველო რაიონში აგერ ორი წელიწადია საოკუპაციო ჯარი დგას და ამით რასაკვირველია ახალ-ახალ ხარჯებს ადებს გერმანიას. პატარა ავსტრიის სურვილი ტომით და კულტურით მონათესავე გერმანიის ხალხთან შეერთების და ასე ერთი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის—ანტანტამ ძალიან შორს დაიჭირა. მათ აეკრძალათ ოკუპაციის მუქარის ქვეშ ვილსონის ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება.

ბურჟუაზიულ ევროპას პროგრესიული პრინციპი და თავისუფლების ლოზუნგები მხოლოდ მაშინ მოსწონს, როცა და სადაც ის მისთვის გამოსადეგია, ე. ი. მისი ბატონობის მიზნებისთვის ხელსაყრელია, და უარყოფს, თუ მისთვის რაიმე მხრივ საფრთხის შემქმნელია.

გერმანიის და ავსტრიის ნემცების შეერთება უარყოფილ იქნა სწორეთ იმისთვის, რომ გაერთიანებული ნემეცთა სახელმწიფო მეტათ ძლიერი არ გამომდგარიყო, მაშინ როცა მოკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთა ძალღონე მისი დასუსტებისა და მეორე ხარისხოვან სახელმწიფოთ გადაქცევისაკენ არის მიმართული. სილეზიის საკითხიც, რომლის გადაჭრა პლებისციტზე იყო დამოკიდებული ვერსალის ხელშეკრულობის ძალით, დიდი ბრძოლისა და დავის შემდეგ მაინც მოკავშირეთა ინტერესების მიხედვით გადასჭრეს და არა სამართლიანობის ან მცხოვრებთა სურვილის.

მართლაც სილეზია, რომელიც უაღრესათ ერთ ეკონომიურ მთელს წარმოადგენს ორათ გაჰყვეს; მიზეზი ის იყო, რომ მცხოვრებთა 67 პროცენტმა გერმანიის სასარგებლოთ მისცა ხმა. მაშასადამე ხალხის სურვილის მიხედვით მას უნდა დარჩენოდა.

მაგრამ სწორეთ ეს არ სურდა გამარჯვებულ სახელმწიფოებს. რომ სილეზიას პოლონეთის სასარგებლოთ მიეცა ხმა, ეჭვი არაა, მას მიაკუთვნებდენ მთელათ. მაგრამ გერმანიისთვის მისი მთლათ დატოვება—ეს ხომ გერმანიის ძლიერების შემუსვრაზე ხელის აღება იქნებოდა. სილეზია კი—ერთი უდიდესი სამთო სამრეწველო ცენტრია, განვითარებული ქვა-ნახშირის მაღაროებით, სხვა მადნებით და ქარხნებით.

და ზემო სილეზია გააპეს ორათ იმის მიხედვით, თუ რომელ რაიონში, ვის სასარგებლოთ იყო ხმები მიცემული. შედეგი ასეთი გაყოფის არის ის, რომ პოლონეთს შეემატა დაახლოვებით ნახევარი მილიონი მცხოვრები იმ 2 მილიონიდან, რომელიც სილეზიაში ცხოვრობს, და სილეზიის ტერიტორიის ერთი მესამედი ან მეოთხედი; ცხადია ეს დანაკლისი თავისთავათ გერმანიას დიდ ზიანს არ მოუტანდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მესამედ ტერიტორიას თან მიყვება $^{3}/_{5}$ სამრეწველო რაიონის.

აი ისტორია ამ გაყოფის:

ჩვენ უკვე ვიცით, რომ უმაღლესმა საბჭომ ეს კითხვა ვერ გადაჭრა, რადგან ინგლისის და საფრანგეთის შეთანხმება არ მოხერხდა. ინგლისი თხოულობდა სამრეწველო რაიონის განუყოფლობას და მისი გერმანიისთვის დატოვებას, უამისოთ ვალებს ვერ გადაიხდისო, საფრანგეთი კი თხოულობდა ამ რაიონის პოლონეთისთვის გადაცემას, ეს სახელმწიფო ჩვენი შექმნილია და საზრდო უნდა მივცეთო.

განხეთქილების თავიდან საცილებლათ კითხვა ერთა ლიგას გადაეცა.

ამ უკანასკნელმაც მიიღო თგნ და პარველთ მისი შესწავლა სხდომაზე მოსახსენებლათ მიანდო ისპანიის წარმომადგენელს, მაგრამ ამ უკანასკნელს თავის მთავრობამ აუკრძალა ამ საქმის თავის-თავზე აღება, რადგან მოხსენებით უკმაყოფილო დარჩებოდა ან ინგლისი, ან საფრანგეთი ან გერმანია და მას კი არც ერთის წყენება არ სურდა. მაშინ ერთა ლიგამ ითათბირა და მოხსენება 4 დაუინტერესებელ სახელმწიფოს წარმომადგენელს მიანდო: ისპანიის, ჩინეთის, ბრაზილიის და იაპონიის.

რომ თავი დაეხსნათ მოსალოდნელ უკმაყოფილებისაგან და დამოუკიდებელი, ობიექტიური მსჯავრის სახე მიეცათ თავის გადაწყვეტილებისთვის, ამ ოთხთა კომისიამ საქმის შესწავლა თავიდან დაიწყო. მან ახალი მდივნები მოიწვია, ახალი ექსპერტები აიყვანა, დაკითხა აგრეთვე სილეზიის ნემცებს და პოლონელებს და ზოგიერთ მეზობელ ხალხთა წარმომადგენლებს. მუშაობა საიდუმლოებით იყო მოცული და დამთავრებამდე შედეგი არ უნდა გამომჟღავნებულიყო.

მუშაობას საფუძვლათ დაედო ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც მცხოვრებთა სურვილს ანდობდა სილეზიის ბედს.

ერთა ლიგამ მოისურვა ამ სურვილისა დაგვარად გაეყვანა საზღვრები, რომელიც გაყოფდა სილეზიას გერმანიასა და პოლონეთს შორის. პრაქტიკულათ ასე საქმის დაბოლოვება ისე ადვილი არ იყო. ჯერ იმიტომ, რომ ზემო სილეზიის ნაწილში გერმანელები და პოლონელები ერთმანეთში არეული ცხოვრობენ, გერმანელები უმთავრესად ქალაქებში, პოლონელები კი სოფლათ. მეორე იმიტომ, რომ მთელი ამ ზემო სილეზიის კუთხე, რომელიც გერმანიის უმდიდრეს ნაწილს შეადგენდა, არის წარმოების, ქვა-ნახშირის და სხვა მადნეულობის ქვეყანა, და იქაურ მადნების და ქარხნების არსებობა ერთმანეთთან დაკავშირებულია, ისე რომ პოლიტიკურ საზღვრის გაყვანით ეს ნაწილები ერთმანეთს ჩამოშორდებიან, რაც მათ დაქცევას გამოიწვევს. სწორეთ ამის გამო ვერსალის ხელშეკრულობაში იყო აღნიშნული, რომ ანტანტა სილეზიის საზღვრების გაყვანის დროს მიიღებდა მხედველობაში არა მარტო ერის სურვილს, არამედ ეკონომიურ-გეოგრაფიულ პირობებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა ლიგამ უპირატესობა მისცა ეროვნულ მომენტს. მაგრამ სისწორით ვერც ეს გაატარა.

პოლონეთის ტერიტორიაზე 150,000-სამდე გერმანელი მაინც დარჩა და გერმანიისაზე 120,000 პოლონელი. პოლონეთს აკუთვნეს პლესის, კატოვიცის, კონიგსჰუტეს, ბეუტინის მაზრები, აგრეთვე უმეტესი ნაწილი ლუბნიცის, ტარნოვიცის, ზაბრზეს, რიშნიკის მაზრებისა და მცირედი ნაწილი გლეივიცისა. მაგრამ ეს საზღვარი ოდნავათაც არ აკმაყოფილებს მაზრების ეკონომიურ საჭიროებებს და პირიქით იგი ეკონომიურათ მათი დამხობის მომასწავებელია. ამის გამო ერთა ლიგის საბჭომ დაიმუშავა ერთგვარი წესები, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს სილეზიის ეკონომიური ცხოვრება. უმთავრეს საკითხებისათვის ეს წესდება გასტანს 15 წელიწადს.

პოლონეთმა და გერმანიამ ამ დადგენილების ძალით უნდა შეკრან ხელშეკრულება შემდეგ საფუძველზე:

რკინის-გზის რეჟიმი ხელუხლებელია. კონცესიები რჩება იმათ ხელში, ვისაც აქამდე ჰქონდა, კერძო პირები იქნებიან ესენი თუ ეროვნები. მათი უფლება-მოვალეობა განისაზღვრება არსებული კონცესიებით. აგრეთვე ტარიფები საერთო იქნება მთელი მაზრისათვის.

წყალი და ელექტრონი. ორივე მხარეს ეძლევა სერვიტუტის (სარგებლობის) უფლება იმ წყალზე, რომელიც ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადის, და უფლება თანასწორ პირობებში ისარგებლონ ელექტრონით, რომელიც ჰქონდა მაზრას ამ წყლებიდან.

ფული. გერმანული მარკა რჩება 15 წლის განმავლობაში ერთათ-ერთ კანონიერ ფულად მთელ საპლებიცისტო ტერიტორიაზე. ორივე მხარის შეთანხმებით ეს დებულება შეიძლება უფრო ადრეც გაუქმდეს.

ბაჟები. საბაჟო საზღვარი გავა იქ, სადაც გადის ახალი პოლიტიკური საზღვარი. გერმანია და პოლონეთი იხელმძღვანელებენ თავიანთ ტარიფებით, გარდა შემდეგი უმთავრესი შემთხვევებისა. ბაჟისგან თავისუფალია 15 წლის განმავლობაში, ყოველი საქონელი, რომელიც სილეზიის საპლებისციტო ნაწილის ერთ ადგილიდან მეორე ადგილას იგზავნება ან სახმარებლათ ან და იქ დასამუშავებლათ.

ნახშირი და სხვა მადნეულობა. 15 წლის განმავლობაში პოლონეთმა უნდა მისცეს ნება გერმანიას საპლებიცისტო ადგილიდან, რომელიც პოლონეთს ერგო, საჭირო ნახშირის და სხვა მადნეულობის, განსაკუთრებით ნახშირის გატანისა, რომელიც გერმანიას დასჭირდება თავის საერთაშორისო უფლებრივ მოვალეობის ასასრულებლათ. გერმანიაც თავის მხრივ ნებას აძლევს პოლონეთს გაიტანოს ის მადნეულობა, რომელიც პოლონეთში გადასულ მადნებს დასჭირდება.

პატრონთა და მუშათა სინდიკატები. გერმანიისა და პოლონეთის სახელმწიფოები სცნობენ არსებულ სინდიკატებს, რომლებსაც უფლება ექნებათ 15 წლის განმავლობაში, მთელ საპლებისციტო ტერიტორიისათვის დასდონ კოლექტიური პირობები.

მუშათა დაზღვევა. მუშები ისარგებლებენ არსებულ უფლებით ორივე ნაწილში.

მიმოსვლა. ზემო სილეზიის მცხოვრებთ 15 წლით ეძლევათ უფლება ამ რაიონში თავისუფლათ მიმოსვლისა საგარეო პასპორტის აუღებლათ.

ქვეშევრდომობის საკითხი. ყველა გერმანელს და პოლონელს, რომელიც მეორე სახელმწიფოში მოხვდა, უფლება აქვს თავისი ეროვნული ქვეშევრდომობა შეინარჩუნოს 15 წლის განმავლობაში და დარჩეს იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა იმყოფება.

ეს ეკონომიური პირობები შეადგენენ საერთაშორისო ხასიათის მოვალეობას როგორც გერმანიისათვის, ისე პოლონეთისათვის და ერთა ლიგის გარანტიის ქვეშ იმყოფებიან.

———

ამ გადაწყვეტილებით პოლონეთმა დიდი სიმდიდრე შეიძინა და რასაკვირველია თანახმა გახდა მისი მიღების. მაგრამ გერმანიამ კი მწვავე ტკივილები იგრძნო. ამ გადაწყვეტილებამ ისეთი ვნება მოუტანა გერმანიის მრეწველობას, რომ დანარჩენი ტერიტორიალური დანაკარგი გარდა ელზას-ლოტარინგიისა, ასე საგრძნობელი არ იყო.

საფრანგეთის პრემიერმა ბრიანმა, თავის უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც მან პარლამენტში წარმოთქვა, აშკარათ აღნიშნა, მიზანი და მნიშვნელობა ამ გაყოფის. მან სთქვა, რომ გერმანიას უნდა ჩამორთმეოდა და ჩამოერთვა კიდეც თავისი აღმოსავლეთის არსენალი. მის-

126/6

ეროვნული

თვის მომავალში შეუძლებელია ისარგებლოს იმითო!

ამ რიგათ ცხადია, ერთა ლიგაში ფაქტიურათ გაიმარჯვა საფრანგეთის პოლიტიკამ, რომლის მიზანი იყო ჩამოერთმია გერმანიისათვს მადნეულობით მდიდარი ნაწილი, რომელიც მართლა ერთი არსენალთაგანი იყო გერმანიისათვის და გადაეცა ის თავის ახალ მოკავშირის, პოლონეთისათვის. ამ განაწილებით გერმანიას მოაკლდა სამრეწველო ძალა და წყარო. 64% ნახშირი ამ რაიონისა, და დაახლოებით ნახევარი მთელი გერმანიის. ამას გარდა ბევრი სხვა მადნეულობა, ან ნაწილობრივ ან და სრულიათ, როგორც მაგალითად ფოლადის, ცინკის და სხვ.

უფლებრივ მოსაზრებით ეს დადგენილება არ ეთანხმება ვერსალის ხელშეკრულობას. ვინაიდან იქ აღნიშნულია მხოლოდ ისეთი საზღვრის გაკვანა, რომელიც ეროვნულ სურვილთან ერთათ ეკონომიურ საჭიროებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მაგრამ რადგან საზღვარის ამის მიხედვით გაკვანა არ მოხერხდა, მას დაუმატეს ეკონომიური პირობები, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი არ არის, და ისიც 15 წლის ვადით.

როგორც მოსალოდნელი იყო ამ გადაწყვეტილებამ დიდი პროტესტი გამოიწვია გერმანიის საზოგადოებაში. ამ განაჩენით უნდოდათ ესარგებლათ მემარჯვენეებს, და თვით ცენტრის იმ ელემენტებს, რომელნიც ვირტის მმართველობით უკმაყოფილო იყვნენ და ასე კაბინეტის კრიზისს აყენებდენ. მემარცხენე წრეებმა, მიუხედავათ იმისა, რომ მკაცრი კრიტიკით შეხვდენ ამ განაჩენს, მაინც არჩიეს ზომიერ გზას დადგომოდენ და ამიტომ დათანხმდენ როგორც ახალი განაჩენის მიღებას, ის, ძველი კაბინეტის და უფრო ვირტის თავის ადგილს დარჩენას. მათ ობიექტიურ პირობებს ანგარიში გაუწიეს და აღიარეს, რომ ამ გადაწყვეტილებაში გერმანიის მთავრობას ბრალი არ მიუძღვის, რომ მან თავის მოვალეობა ყოველ მხრივ შეასრულა. ამ აზრისაა უმთავრესათ სოციალისტური პრესა. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის უმეტესი ნაწილი ამ ქამათ მდგომარეობას დაემორჩილა. მემარცხენე პრესა იმასაც კი ამბობს: «ჩვენ გვმართებს პოლონელებთან შეთანხმება, მეზობელთან მაინც მოლაპარაკებათ საქმის გადაწყვეტა სჯობიაო». გერმანიის ერმა ამ განსაცდელშიაც გამოიჩინა ის სიდინჯე, რომელიც ამ ერის დამახასიათებელი თვისებაა. იგი მოთმინებით შეხვდა იმ განაჩენს, რომელიც მას საშინლათ უმცირებს სამრეწველო ძალებს.

მაგრამ ვირტი მაინც გადადგა. გადადგომის მიზეზათ ის აღნიშნავს, სავათა შორის იმას, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიას წაართვეს სილეზიის ნაწილი, გერმანიამ დაკარგა საშვალება და შესაძლებლობა იმ მოვალეობის ასრულებისა, რომელიც მას ვერსალის ხელშეკრულებამ დააკისრა და ამის გამო საიმპერიო პოლიტიკა სრულიად არეულ პრობლემის წინაშე დადგა.

ამ რიგათ შეიქმნა სამინისტროს კრიზისი. მოსალოდნელი იყო მისი გამწვავება, განსაკუთრებით მემარჯვენეთა წრეების ცხარე აგიტაციის გამო, მაგრამ ბოლოს ძალთა-განწყობილებამ თავისი გაიტანა და ისევ ვირტის სამინისტრო წამოიშვა კოალიციურ ნიადაგზე შემდგარი სოც.-დემ. (უმრავლესობის) მონაწილეობით. მხოლოდ ზოგიერთი მინისტრი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინ., გამოცვლილ იქნა და მისი მძიმე მოვალეობა თვით მინისტრთა თავმჯდომარემ—ვირტმა იკისრა.

სილეზიის საკითხით ბევრი რამ გამოაშკარავდა დღევანდელი ევროპის ვითარებაში. გამოაშკარავდა ის, რომ ევროპის ქარტა ი ვლება, მაგრამ, სამწუხაროთ, არა სამართლიანობის მიხედვით და არა მშვიდობიანობის ინტერესებისათვის, არამედ ახალ-ახალ კონფლიქტების წყაროების შესაქმნელათ, სოლიდარობის დასარღვევათ და მომავალში ომის ახალ მიზეზების წარმოსაშობათ. და რაც უმთავრესია, ამ დანაწილებას თან სდევს საერთოდ ევროპის ეკონომიური დასუსტება და დაქვეითება.

ბურჟუაზიული საზოგადოება ამ უსაშინელესი ომის და სისხლის ღვრის შემდეგ უფრო მეტათ, ვინემ ოდესმე იჩენს თავის უძლურებას საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში და პროგრესიულ გზაზე სიარულში. იგი ერთიანათ კონსერვატიული ხდება, ცხოვრების განვითარებას ბორკილათ ედება და ამით თავის ისტორიულ დაცემის დღეს აახლოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთის რეაქცია.

უნგრეთში რამდენიმე ხანი ინავარდა კომუნისტების ტერორმა ცნობილ კომუნისტ—ბელა-კუნის მეთაურობით და მემკვიდრეობათ დასტოვა საშინელი რეაქცია, მონარქისტულ-ფეოდალური, რომელმაც სისხლში ჩააღრჩოს ლამის კომუნიზმთან ერთათ მთელი სოციალისტური მოძრაობა და მუშათა კლასის ყოველივე მონაპოვარი.

მხოლოდ ერთი ვერ მოახერხეს დღემდე უნგრეთის ხელისუფლებმა—თავის რეაქციონურ შენობის გვირგვინოსან-მეფით დამთავრება. ადმირალი ხორტი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურია უნგრეთში და რეაქციის სულისჩამდგმელი, დღესაც მხოლოდ რეგენტია—ე. ი. ტახტის დამცველი, რომელსაც ჯერ სათანადო გვირგვინოსანი არ გამოსჩენია.

კარლ გაბსბურგი, კანონიერი მემკვიდრე ტახტის კი დიდი ხანია მიისწრაფის მამა-პაპათა ადგილის დასაჭერათ, მაგრამ ამაოთ! ამაოთ არა იმიტომ, რომ უნგრეთის ხალხს შეეძლოს დღეს მისი განდევნა, არა, უნგრეთის ხალხი უკვე გატეხილია კომუნისტების ავანტიურით და რეაქციის თარეშით. მეფეს უნგრეთში არ ყავს სერიოზული მოწინააღმდეგე. მთელი უბედურება ამ ტახტის მაძიებელის, რომელიც თავს კარლოს პირველს უწოდებს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაბსბურგია, ე. ი. მთელი ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე და არა მარტო უნგრეთის. გაბსბურგი კი არ უნდათ იხილონ ტახტზე არც დიდ ანტანტას ე. ი. გამარჯვებულ სახელმწიფოებს, არც მცირე ანტანტას, რომელიც უმთავრესათ ავსტრიის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენდა და რომელშიაც შედიან ჩეხოსლოვაკია, რუმინია, იუგოსლავია და პოლონეთი.

პირველნიც და მეორენიც წინააღმდეგი არიან გაბსბურგის, როგორც ავსტრო-უნგრეთის გაერთიანების სიმბოლოსი.

მაგრამ კარლოს პირველი არ იშლის თავისას. იგი თავის ქვეყნიდან უბედობით განდევნილი აგერ მეორეჯერ მიქრის თავის ტახტისკენ, ხან რკინის-გზით, ხან ჰაეროპლანით, და «თავის ხალხში» უნდა დაიმკვიდროს გვირგვინი და დიდება ტახტის. მაგრამ მისი ბედი გადაწყვეტილია გარეშე ძალთაგან, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

პირველი მისი ავანტიურის დროს იგი ბუდაპეშტში მივიდა, და ტახტის დაპერა მოისურვა. მმართველი წრეები ამის წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ ანტანტამ მათ ძალა დაატანა და კარლოსის ქვეშევრდომობაზე ხელი ააღებინა. ერთგული როიალისტები იძულებული შეიქნენ იგი შვეიცარიაში გაემგზავრებიათ, საიდანაც მას შემდეგში ფეხი აღარ უნდა გადაედგა. მაგრამ მოუსვენარმა ტახტის მაძიებელმა ვერ მოითმინა და ბურგენლანდის გარშემო ატეხილ კონფლიქტით და გართულებით მოისურვა ესარგებლა.

აეროპლანით ამ სადაო ტერიტორიაზე მოფრინდა და იქ თავის მომხრეებს შორის აღმოჩნდა. ბურგენლანდში კი, როგორც ვიცით, კარლისტები იღვწოდენ ავსტრიის წინააღმდეგ და კარლოს მეფის სასარგებლოთ ამ მიზნით იყენებდენ ბურგენლანდის საკითხს. ეს საკითხი, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ცნობა «თავ. საქ.» № 8, (ტრიან. ხელშ.) დათავდა იმით, რომ ავსტრია და უნგრეთი იტალიის მინისტრის სფორცას შუამდგომლობით შეთანხმდენ; ტერიტორია უნგრეთს უნდა გაეწმინდა ბანდებისაგან და ავსტრიისთვის გადაეცა, სამაგიეროთ ავსტრიისაგან ზოგიერთი საზღვრის და ბაჟის საკითხების მოწესრიგების გარანტიები მიეღო.

ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის გარეშემო ომის სუნი რომ ტრიალებდა და მცირე ანტანტა ბლოკადას იმუქრებოდა, ყოველივე ეს საჭირო აღარ შეიქნა.

კარლისტებს რასაკვირველია, არ სურდათ ამ გადაწყვეტილებას დამორჩილებოდენ და ეჭვი არაა კარლოს შემოსვლაც იმიტომ გადაწყვიტეს სწორეთ იმ დროს, როცა ეს ხელშეკრულება კიდევ არ იყო განხორციელებული.

ამ რიგათ ბურგენლანდს გადაება კარლოსის ახალი ავანტიურა.

გაჩნდა თუ არა კარლოსი უნგრეთის ტერიტორიაზე, ხორტის მთავრობამ დაუყოვნებლივ პროტესტები მიიღო და კატეგორიული მოთხოვნა გაეძევებინა ტახტის პრეტენდენტი თავის ქვეყნიდან. პირველ ხანში კარლოსიანების წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი, მათ მხარეზე გადავიდა და ამ გვარათ კარლოსს თავის მთავრობის შედგენა გაუადვილა. მან ხორტის მთავრობა გაუქმებულათ გამოაცხადა და თავის სამინისტრო დანიშნა. მაგრამ მისი მეფობის დღეები დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალათაც არ იყო. როცა მეფის რწმუნებული მოვიდა ბუდაპეშტში, რომ ხორტის მთავრობას მოლაპარაკებოდა, მას უკვე არ მისცეს ნება თავისუფლათ მოქმედების. მოლაპარაკება ინგლისის ელჩის თანადასწრებით ხდებოდა და ცხადია ანტანტის მოთხოვნა უნდა დაცული ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში უნგრეთს ემუქრებოდენ ომის ყოველივე საშინელებებით. ხორტმაც ნებსით თუ უნებლიეთ კარლოსს უარი შეუთვალა და მის წინააღმდეგ ახალი ჯარი გაგზავნა, რომელიც შემოერტყა გარშემო კარლოსის რაზმს და თითქმის სრულიად უბრძოლველათ დაიმორჩილა იგი. კარლოსის მხედრობის დიდი ნაწილიც, როცა მიხვდა, რომ ანტანტა მათი წინააღმდეგია, თავის გვირგვინოსანს ჩამოეცალა.

მეფე და მისი ამალა დაიჭირეს და საიმედო ადგილას დაატყვევეს, სადაც მას მოკავშირეთა ყარაულები მიუყენეს.

კარლოსს მოსთხოვეს ტახტზე ხელის აღება, მაგრამ მან უარი სთქვა და თავის მოკვლა განიზრახა შეასრულებდა კიდეც, რომ ერთგულ მეუღლეს არ გამოეხსნა გვირგვინოსანის თავი ბაწრის ყულფიდან.

უნგრეთს საერთოთ არა აქვს დიდი ხალისი კარლოსის თავიდან მოშორების, ამიტომ მცირე ანტანტა იქოჩრება და ომით ემუქრება უნგრეთს. იუგოსლავიამ და ჩეხოსლოვაკიამ უკვე მოახდინეს მობილიზაცია და უნგრეთს ულტიმატუმით მიმართეს, 48 საათში გააძევოს მეფე და თავს იდვას იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მობილიზაციის გამო მოუვიდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ომით ემუქრებიან.

მეფე კარლოს ბედის შესახებ თათბირობენ მოკავშირეთა ელჩებიც და ცნობაა, რომ მას პატარა კუნძულ მადერაზე მიუჩენენ ბინას დიდ ოკეანეში, საიდანაც მისი გაქცევა შეუძლებელი იქნება.

ამ რიგათ ბოლოვდება გაბსბურგთა ტახტი.

მაგრამ თვით ამ ავანტიურის შესაძლებლობა და ის აფორიაქება, რომელიც მან გამოიწვია შუა ევროპის სახელმწიფოებში აშკარათ მოწმობს იმას, რომ დღემდე რაიმე წონასწორობა არ არის მიღწეული ამ ქვეყნებ შორის და კონფლიქტის მიზეზები ძლიერ იოლი და ხშირია. დიდი ომით დალეწილი ევროპის საზღვრები და ურთიერთობანი კიდევ დიდხანს ვერ ჩადგებიან გარკვეულ კალაპოტში.

ფეოდალური გეგარა.

(გადასახადები საბჭოთა საქართველოში)

თუ როგორ ემსახურება, ან როგორ ასრულებს სუვერენულ ერის ხელისუფლების მოვალეობას საქართველოს დღევანდელი კომუნისტური მთავრობა, ჩვენ უკვე ვიცით. იგი არამც თუ დამცველი არ არის ერისა და სახელმწიფოსი გარეშე მტრებისაგან, არამედ მისი დაქინებითი მოთხოვნით და წინამძღოლობით შემოვიდენ საქართველოში უცხო ჯარები, რომელთაც ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს და გაანადგურეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოტრფიალე ერი; უცხო ჯარების საშვალებით ჩაიგდო მან ხელში ძალა-უფლება მთელი ერის სურვილის წინააღმდეგ და ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ამ უცხო ჯარებს, რომელთა აღვირ-ახსნილობისა და ცარცვა-გლეჯის შესახებ საქართველოში არა მარტო ქვები ღაღადებენ, არამედ ზოგიერთი კომუნისტებიც კი ხმამაღლა ლაპარაკობენ *).

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ მთავრობას ხალხი ნებით გადასახადს არ მისცემს და სრულიად ბუნებრივია ის უკმაყოფილება, რომლითაც ხვდება ქართველი ხალხი ბოლშევიკების გადასახადებს.

საქართველოს კომუნისტები არ დაჯერდენ მილიარდობით გაწერილ გადასახადს და ამ უკანასკნელს ნატურალური გადასახადიც თან დაურთეს; კომუნისტების რწმუნებით ასეთი გადასახადების შემოღება «გამომდინარეობს ეკონომიურ პოლიტიკის ახალ კურსიდან». ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ კომუნ. ახალი კურსი ქონდათ, მაგრამ ვიცოდით ისიც, რომ ის ახალი ეკონომიური პოლიტიკა საშუალო საუკუნოებისაკენ წაიყვანდა ჩვენ ცხოვრებას. მათი ეკონომიური პოლიტიკა არის პოლიტიკა საწარმოვო ძალების მოსპობისა, სახალხო მეურნეობის სრული განადგურებისა და სახელმწიფოს საფანასო მეურნეობის სრული არევ-დარევისა. დღევანდელი საბჭოთა რუსეთი და ძველ რუსეთიდან გამოყოფილი რესპუბლიკები,

*) იხ. „თავ. საქართ." № 5-ში მოთავსებული დეპეშა დუშეთის სამაზრო მილიციის უფროსის მანგიაშვილის, აგრეთვე დეპეშა ქუთაისიდან ა. გეგეჭკორის, რომელიც ქუთაისში დაბანაკებულ საოკუპაციო ჯარის ნაწილის მოქმედებას ჩინგის ხანის ბრბოების მოქმედებას ადარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებშიაც საბჭოთა ხელისუფლებაა გამეფებული, თავის ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობით სავსებით წაგავენ უთავბოლო და დაუსრულებელ ომებით დაქანცულ საშუალო საუკუნეთა სახელმწიფოებს. საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობების ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკაც არაფრით არ განსხვავდება საშუალო საუკუნის მეფეების ფინანსიურ პოლიტიკისაგან.

სახელმწიფო ფინანსების არევ-დარევის ხანაში საშუალო საუკუნის მეფეები და მთავრობები ბარბაროსულ საშუალებებს მიმართავდენ ნივთიერ სახსრის მოსაპოვებლათ: ერთი ასეთ მთავარ საშუალებათაგანი იყო ფისკალურის მიზნით ებრაელების ექსპლოატაცია. დღევანდელი კომუნისტური მთავრობებიც ფულის საშოვნელათ მიმართავენ როგორც ებრაელ, ისე სხვა ერის სპეკულიანტების ექსპლოატაციას.

საშუალო საუკუნეების მეფეები და მთავრობები ებრაელებს სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრებისათვის ცალკე გადასახადს ახდევინებდენ; მათ ანიჭებდენ განსაკუთრებით უფლებებს, ჩარჩობის უფლებასაც კი აძლევდენ, ოღონდ კი ჩარჩობით მონაგები მეფეებისათვის შუაზე გაეყოთ. ებრაელებისაგან ამ გზით შემოსულ თანხებს ინგლისში ცალკე დაწესებულება—«ებრაელების ხაზინა»—განაგებდა. კიდევ უარესი იყო მდგომარეობა საფრანგეთში; აქ ებრაელისათვის ნება-დართული იყო გამდიდრების ყველა საშვალება, მაგრამ გამდიდრებისთანავე მის ქონებას კონფისკაცია მოელოდა. გერმანიაში ებრაელები, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდენ, მეფის კამერალურ მონებათ იყვენ გამოცხადებული და სხვა მრავალ გადასახადებთან ერთად ყოველ ახალ მეფის ტახტზე ასვლისას ვალდებული იყვენ «სიცოცხლის გამოსასყიდათ გადაეხადათ ყოველი მესამე პენინგი», ე. ი. მიეცათ მეფისთვის ყოველ სამ პენინგიდან ერთი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი თავისი ქონების ერთი მესამედი. ერთის სიტყვით საშუალო საუკუნეების გაკოტრებული მეფეები სრულ უფლებას ანიჭებდენ ებრაელებს ეცარცვათ ხალხი; ფულის გაყალბებისათვისაც კი არ სდევნიდენ; სახელმწიფო ხელისუფლება მათ უცქერდა, როგორც ზღვის ღრუბელს: ღრუბელი შეისვამს წყალს, შემდეგ იმის ამოწურვა შეიძლება. ებრაელები, როგორც ღრუბელი «შეისვამდენ» ხოლმე ხალხის ქონებას; მეფეები კი თავისთავზე იღებდენ შრომას გამოეწურათ ეგ ღრუბელი, როდესაც იგი საკმარისათ გაიჟღინთებოდა *).

«კომუნისტურ საქართველოში» საშუალო საუკუნეების ებრაელების მაგიერობას ყველა ჯურის სპეკულიანტები სწევენ. არასოდეს ისე არ გაუშლია ფრთები სპეკულიაციას, როგორც კომუნისტების ბატონობის დროს და მათი ლოცვა-კურთხევით. ამას თვით სპეკულიანტებიც არ მალავენ: საქართველოდან ჩამოსული ვაჭრები აშკარათ აღიარებენ, რომ «კომუნისტურ საქართველოში» სპეკულიაცია სავსებით ნებადართულია, რომ იმათ ბოლშევიკების მოსვლამდე სიზმრათაც არ უნახავთ ისეთი მოგება და შოვა, როგორიც დღეს—ბოლშევიკების ბატონობის ხანაში აქვთ. პირველ ხანებში ყველას უკვირდა ბოლშევიკების ასეთი «კეთილი» განწყობილება სპეკულიანტებისადმი, მაგრამ მალე გამოირკვა მათი ფარული ზრახვანი: დაე, გაცარცვონ სპეკულიანტებმა ხალხი—მუშა, გლეხი, მოხელე და სხვა; როდესაც კარგად დასუქდებიან, მერე ჩვენი ჯერი დადგება: ნაცარცვის გამოწურვა ჩვენი ხელობაა—ჰფიქრობდენ თავის გულში ბოლშევიკები. ეს ასეც ხდება: ბოლშევიკებმა 50 მილიარდი **) მანეთი გააწერეს მცხოვრებთა «შეძლებულ ნაწილს»; თვითეულ გადამხდელს ათეული მილიონები ხვდა გადასახდელათ; გადაიხადეს კიდეც «ჩეკითა» და ციხით დაშინებულებმა. მხოლოდ უცხოელ სპეკულიანტებმა დაიხსნეს თავი ამ დარბევისაგან. მაგრამ ამით ხალხს ორმაგი სიმძიმე დააწვა: ერთი სიტყვით იგი უცხოელების საწველ ფურათ იქცა, ხოლო მეორე მხრით შინაური სისხლგართმეული სპეკულიანტები გაათკეცებული ახალი ენერგიით შეუდგებიან ხელახლა გასუქების სამზადისს და დაეწაფებიან მომხმარებლის ჯიბეს.

როგორც კომუნისტურ გაზეთებიდან სჩანს, ეგ გარემოება უკვე უგვრძნიათ ქართველ მუშებს და გლეხებს და თავისი უკმაყოფილებაც აშკარათ გამოუთქვამთ. კომუნისტურ «მუშის შრომის» თანამშრომელი ვიღაც გ. მებუკე

*) იხ. პროფ. მ. ი. ბოგოლეპოვის შრომა „გოსუდარსტ. დოლგ“, გვ. 199, 200.

**) საქართველოდან ამ უკანასკნელ დღეებში ჩამოსულები გადმოგვცემენ. რომ თბილისელ ოკუპანტებს ახალი 75 მილიარდი მანეთი დაუდვიათ მცხოვრებლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობს დაუმტკიცოს უკმაყოფილო მუშებს, რომ მათი უკმაყოფილება უსაფუძვლოა; იგი თავის წერილს—«ერთი მხარე»—ასე იწყებს: «გადასახადები, რკინის გზაზე და ტრამვაიზე ფასების დადება და სხვა, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსიდან და რომელიც ამ ჟამად ჩვენში ხორციელდება, დიდ გაუგებრობასა და მითქმა-მოთქმას იწვევს მუშათა ზოგიერთ წრეებში. ბევრი გულუბრყვილო მუშა ასეთ ცვლილებას ძველი წესების დაბრუნებათ და თავისი ინტერესების საწინააღმდეგოთ ხსნის *); ქვევით ბ-ნი მებუკე მუშის სანუგეშოთ განმარტავს, რომ «ბურჟუებს ბეგრავენ გადასახადებით მშრომელი ხალხის სასარგებლოთ». ეს ახლათ მოვლენილი ბოლშევიკების ფინანსისტი ან თვითონ არის გულუბრყვილო, თუ მართლა სწამს თავის ნაცვოდილევის სიმართლე, ან შეგნებულათ ფიქრობს მუშების დატყვილებას, თუმცა საკმაო რისი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კომუნისტურ გაზეთის თანამშრომელს ეგ უფრო უვიცობით მოსდის. ეს სჩანს იქიდანაც, რომ ავტორი ულვთოთ ურევს ცნებებს «მრეწველობა», «მეურნეობა» და პირველი «უფრო სახელმწიფოებრივათ» მიაჩნია. ერთი სიტყვით აბდაუბდას სწერს. მაგრამ ქართველი მუშა საკმარისათ მომზადებულია, რომ თეთრი შავისაგან გაარჩიოს და სწორათაც გაუგია კომუნისტების «ახალი ეკონომიურ კურსიდან გამომდინარე» გადასახადების მნიშვნელობა, როდესაც ამ უკანასკნელში ძველი წესების დაბრუნება დაუნახავს. გადასახადების აკრეფის წესი ძველთა-ძველია, იგი საშუალო საუკუნეების დროის წესია. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ კომუნისტებმა, მუშებსა და გლეხებს მაინც ვერ დაარწმუნებენ იმაში, რომ სპეკულიანტების მიერ გადებული მილიარდები გლეხებისა და მუშების ჯიბიდან არ ამოღის.

ახლა განვიხილოთ რას წარმოადგენს გლეხების ნატურალური გადასახადებით დაბეგვრა. ბოლშევიკები ამ ბეგარასაც ახალ ეკონომიურ კურსათ აცხადებენ, მაგრამ ჩვენმა გლეხებმა კარგად იციან, რომ ეს «კურსი» ბატონ-ყმობის დროის «ეკონომიური კურსია». ბატონ-ყმობის დროს გლეხი ვალდებული იყო ბატონისათვის მიერთმია ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ხორცი, ყველი, ერბო, ქათამი, კვერცხი, ღვინო, ბოსტნეული, მატყლი და სხვ. ბატონ-ყმობის გაუქმებით გაუქმდა ნატურალური გადასახადიც.

ჩვენმა კომუნისტებმა ამოჩხრიკეს ეს გადასახადები ბატონ-ყმობის დროის არხივებიდან და კვლავ აღადგინეს; ბატონ-ყმობა უსაშინელესი ფორმით დააბრუნეს და ამავე დროს ქვეყანას არწმუნებენ სოციალისტურ სამოთხეს ვამკვიდრებთოთ. მათ დაბეგვრეს ქათამი, ძროხა, ცხვარი, დაადვეს გადასახადი ღვინოს, რძეს, ბოსტნეულს, კვერცხს, ხილს, ე. ი. მოიმოქმედეს ის, რაც ნიკოლოზის რეჟიმს ფიქრადაც არ მოსვლია და რაც მხოლოდ ფეოდალური წესების დროს არსებობდა.

ბ-ნი მ. ტ. «კომუნისტის» № 137-ში დიდის რიხით და მუქარის კილოთი აცხადებს: «გლეხმა უფასოთ უნდა მისცეს სახელმწიფოს თავის ზედმეტი ნაწარმოების ნაწილი სასურსათო გადასახადის სახით. საბჭოთა ხელისუფლება არა თუ მარტო მუშების, გლეხების ხელისუფლებაც არის, გლეხმა უნდა გაიგოს ეს და შეიგნოს ეს, არა თუ მარტო თეორიულათ, არამედ პრაქტიკულათაც»...

ეს პრაქტიკულათ შეგნება ალბათ ხიშტის და ჩეკის საშვალებით გადახდევინებას გულისხმობს.

ბატონიც ასე ემუქრებოდა თავის ყმებს: შეიგენით ყმებო, რომ ბატონის ხელის-უფლება არის თქვენი ხელისუფლება; ბატონია თქვენი მფარველი, თქვენი მამა, თქვენს მაგივრათ მტრისა და მოყვრისთვის პასუხის გამცემი; შეიგენით ეს და მომართვეთ თქვენი ნაოფლარიდან განსაზღვრული ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი რისხვა არ აგცდებათო.

ჩვენს მუშებს და გლეხებს «თეორეტიულად» ადრიდანვე ჰქონდათ შეგნებული თუ რას წარმოადგენდა რუსეთის უზარმაზარ სამარეთ გადამქცევი საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო მათ მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეგ «პრაქტიკულადაც» შეიგნეს; შეიგნეს, რომ საბჭოთა სისტემა ნიშნავს საშუალო საუკუნოების მართვა-გამგეობის წესების აღდგენას და მათ მიერ შემოღებული ნატურალური ბეგარა ოდნავადაც არ განსხვავდება ბატონ-ყმობის დროის ბეგარისაგან. მხოლოდ ბატონის როლს აქ კომუნისტების პარტია ასრულებს, ყმისას კი დანარჩენი ხალხი. ხალხმა უარჰყო და ჩამოაგდო ძველი ბატონი, ის მოიცილებს ახალსაც.

რუსის ხიშტების საშვალებით საქართველოში მოკალათებულ ახალ ბატონებს არ სურთ არც «თეორეტიულად» და არც «პრაქტიკულად» იმის შეგნება, რომ, როგორც საერთოთ მთელ ქართველ ერს, ისე კერძოთ მუშებსა და გლეხებს მათი კომუნისტური ხელისუფლება შავ ჭირზე უფრო სძულთ, მაგრამ ცხოვრება შეაგნებიებს.

ინი.

*) „მუშის ბრძოლა" № 29.